ნაპალდულები



თეგერვალი, 1908 წ.

მოზრდილთათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ყვავი და ბულბული.—დექსი აკაკისა 3
II—სათაგური—ვაჟა-ფშაველისა. 5
III—რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ
ო. რაზიკაშვილისა 14
IV—ტირიფი ასე ტიროდა.—დექსი ი. ასათიანისა 21
V—ნაზარეთში.—ედ. ანტონოვსკისა 23
VI—პაწია მეგაზეთე.—მიხეილ მაჭავარიანისა 27
VII—წმ. ვერონიკას ჩადრი.—დეგენდა სელმა ლაგერლეფისა
თარგმანი ბავ. დ—ძისა 33
VIII—ბოტანიკური საუბარი.—სოდ. ქურდიანისა 39
IX—დედა-მიწის აღსარება.—ლ. ბოცვაძისა 50
X—ძაღლები პოლიციის სამსახურში—თარგმანი—ტარიელისა. 61
XI—ა) გასართობი თეო კანდელაკისა,—ბ) გამოცანა,—
ვ. ოდეშელიძისა,—გ) რებუსი 63

XII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა:
ბ) სხვა წარსულისა,
ა) შემოწირულება.

ნაკადული

საუმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

თებერვალი, 1908 წ.

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემლ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ყვავი და ბულბული.—დექსი აკაკისა 3

II—სათაგური—ვაჟა-ფშაველისა. 5

III—რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ
ი. რაზიკაშვილისა 14

IV—ტირიფი ასე ტიროდა.—დექსი ალსამბნისა 21

V—ნაზარეთში.—ედ. ანტონოვსკისა 23

VI—პაწია მეგაზეთე.—მიხეილ მაჭავარიანისა 27

VII—წმ. ვერონიკას ჩადრი.—დეგენდა სულმა დაგერდეულისა
თარგმანი მავ. დ—ძისა 33

VIII [illegible] 39

VIII—ბოტანიკური საუბარი.—სოდ. ქურდიანისა . . . . ~~39~~ 45

IX—დედა-მიწის აღსარება.—დ. ბოცვაძისა 50

X—ძაღლები პოლიციის სამსახურში—თარგმანი—ტარიკასი. 61

XI—ა) გასართობი თეო კანდელაკისა,—ბ) გამოცანა,—
ვ. ოდეშელიძისა,—გ) რებუსი 63

XII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა:
ბ) სხვა წარსულისა,
ა) შემოწირულება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყვავი და ბულბული



ვავმა ყვანჩალამ ზამთარში
ბულბული აითვალწუნა,
„რა საცოდავი ყოფილა—
სთქვა—ეს საბრალო ჩიტუნა“.

—

არც თვალად ვარგა, არც ტანად,
არც ხმა აქვს მგალობლისაო.
ენა ჩავარდნილს, ნეტავი,
პირი ვინ დაუგლისაო?

—

მე ერთი ოცად მეტი ვარ
და ხმაც მეტი მაქვს, დიდიო;
ვერ შემაშინებს ზამთარი,
არც ვისიმე მაქვს რიდიო.

—

სად მე? და სად ეს? მაგრამ, ეჰ,
სად არის სამართალიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნიურ მტრობასა და შურს,
დაუდგეს ორივ თვალიო!

—

წალმა-უკულმა ტრიალებს
ჩვენი ცხოვრების ჯარაო:
„ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“.

—

ბულბულმა უთხრა პასუხად:
რაცა სთქვი მართალიაო,
ხმა, რაც ზაფხულში გქონია,
ზამთარშიც არ გაკლიაო;

—

შეუცვლელი ხარ ყოველ დროს,
საგულესა გაქვს გულიო!...
მაგრამ მე სხვა ვარ... სულ სხვა ვარ,
რომ მოვა გაზაფხულიო:

—

მივეგებები ყვავილებს,
მოვყვები ვარდს და იასო
და ათას ჰანგზე დავსძახებ
ჩემებურ „ტია-ტიასო“,

—

და შენ-კი ისევ ისა ხარ,
ვერაკს ახერხებ სხვასაო;
როგორც ზამთარში ზაფხულშიც,
ჩხავი სულ „ყვას და ყვასაო!“

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სათაგური

ალაქიდან ძია ესტატე ღამე-ღა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა: ძალზე მოერეკებოდა შინისკენ ესტატე თავის „მერანს“, რომ შობა დღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. „მერანიც“ თავს როდი ზოგავდა: მოძუნძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულს ფეხებს; ყურებს, თითქოს დაჰმტვრევიაო, უხეიროდ ატლაკუნებდა. სიბერე ძნელია, გმირს როსტომსაც-კი მოჰრევიაო, ნათქვამია და, რასაკვირველია, ესტატეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღესაც გაყიდვას არ უპირობდა, თუმც მისი ცხენი ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც ბევრი ჰყვანდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერნის მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რომელნიც სუნით დაეძებენ იაფ ფასიან საქონელს ცოტა ხნობით ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტე დიდს უარზე იდგა. „ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ, აქაოდა დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე?! ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლება, უნდა ჩემს ხელში მოკვდეს!“—ამ პასუხით ისტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტის-მეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო: იმისაგან წყენა სოფელში პირუტყვსაც-კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადამიანს. მხიარული, ღაჟღაჟა, მუდამ მოცინარი გადაპენტილი სახისა, ოჯახის გაყრაში და მოჩხუბართა შერიგებაში აუცილებელი შუა კაცი იყო, და ლხინში—თამადა.

„ჰაა, აბა შერიგდით, ეტყოდა ესტატე მოჩხუბრებს“: რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, ბანა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთი სოფელი წუთია, სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია? სისხლი სისხლით არც დაბანილა, არც დაიბანება, სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით პროშტი, ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რამ საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია დინჯად, მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტი კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?! ოღონდ შერიგდით და სადილი ჩემი იყოს“. ესტატეს არც შუაკაცობა მოუცდებოდა და დანაპირებსაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათმოყვარეს, კეთილს, სათნოს, უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა,—ესტატეზედ ხნიერებიც-კი „ძიას“ ეძახდნენ.

ესტატეს ხან და ხან ხუმრობაც უყვარდა. როცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობები მიესალმებოდნენ: „ძია ესტატეს გამარჯობა! სადან? საიდან?

— იერუსალიმიდგანაო,—უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე: „საით? საითკენ გაგიწევიაო“?

იერუსალიმშიო,—უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა: არა, ეგ ოჯახ-ქორები, რომ მკითხავენ,—საით მიემგზავრებიო? როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, ტრაპიზონს ან თეირანში წავალთ! თუ ჩავალთ, ქალაქში, სხვაგან სად უნდა წავიდეთ? ეჰ, განა არ იციან, მაგრამ ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ სალმის სანელია.

II

ესტატე, ჩვეულებისამებრ ზარხოშად იყო, როცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთ-სართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს“ თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: „ოჯახი-შვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?“ შინ ფაცა-ფუცი შეუდგათ. „პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა“, გაიძახოდნენ ესტატეს შვილი-შვილები, სონა და კოლა, გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რვისა. „სანთელი მოანთეთ, სანთელი!.. იძახდა ესტატე: რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედა-კაცი, მეუღლე ესტატესი—ეფემია.

„ოჰ, სალამო მშვიდობისა ეფემიავ, ჰაა როგორა ხარ, სულიკო-ჯან. მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული. სხვა არა იყოს-რა, ნადირისა მაინც არ გეშინიან? სთქვა ეფემიამ.

„რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირიო? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალხი ცოტაა განა? სთქვა ესტატემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპა, სათაგური არ მოიტანე?—ჰკითხავდნენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. ჩუსტები, წაღები, საკაბე?—შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტოებიდან, რომ ეფემიას კინაღამ ლამფა გაუქრო. „რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო?! სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს,—სთქვა ესტატემ,—მაგრამ ჯერ დაღლილია, დაისვენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ, ცოდოა. ძალიან გამოვრეკე.—ესტატემ ტანიდგან აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადაეფარა, ხოლო თავად, ყაბალახით თავ-ყურ შახვეული ხურჯინით ხელში გაჰყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძღვოდა. ესტატემ გახურებულს ბუხარს მიაშურა, ხურჯინი ტახტზე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სიყმეში! ჰკითხა ეფემიამ, ვიდრე ესტატე ბუხარს მიუჯდებოდა.

— ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატებიათ. თვეში სამი თუმანი აქვს,—სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი გამოუვიდა. ეფემია ღმერთს უმადლიდა. ხოლო რძალმა სოფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვივნენ პაპას და აღარ აცდიდნენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და ამისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ*) ყველაზე მეტად... პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუთქვა, რომ მალე ყველაფერს ამოართმევდა ხურჯინიდან:

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვიღო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს,—და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო მჯილით კანფეტები,—მანამდე ამას შეექეცით.

---

*) ეინტერესებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ ბავშვებს ჭკვიანად დასხედით. შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფდნენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰაა, აბა, ჩხუბი არ მოგვიდეთ, თორემ იცოდეთ, სათაგურს ისევ ქალაქში წავიღებ,—სთქვა ესტატემ:—ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ, გზაში შემცივდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ.—ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თავდარიგს შეუდგა, მიაშურა იქვე თეთრ ტილოთი გადაფარებულს სამოვარს და ხელად ლანგრით ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

— ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი, და ჩემს სიცოცხლეში, ამისთანას არას მოვსწრებივარ; მეტის მეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს, კაცს ეგონება თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი მე მეჩვენება, თუ მართლა ასეა.

„ეჰ, ქალაქია, ესტატე-ჯან, ქეიფს რა გამოჰლევს?—სთქვა ეფემიამ.—მაგრამ მე ეგ როდი მეკითხება, თვალი იმათაც დაუდგესთ! ასემც უქნიათ, ღვინისა და არყის რუმბებში ჩაულვრჩვიათ თავები! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირობდა ამოსვლას?

— როგორ არა, როგორ არა, საახალწლოდ უსათუოდ მოვა, პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

— საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ,—სთქვა ეფემიამ, ჰნახევი?

— როგორ არა, გუშინ სადილად იმათსა ვიყავი. კაი დროება გავატარე.

„როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? დაეკითხა ეფემია.

— კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა: ასი თუმანი ნაღდი ფული მექნებაო. აქ ასი კაპეიკი არა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზეს, ერთს კალათას და ერთს ვირს შენი მამიდაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

„ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!.. მოხერხებული კაცი ქალაქში მუდამაც გამდიდრდება.—სთქვა ეფემიამ კვალად. ამ დროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

— ოჰ, მე ქეიფში გავები, ცხენი-კი დამავიწყდა. საწყალს ქერი უნდა. გომურში უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა. სთქვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისკენ. გააღო თუ არა კარები, ბოდიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქერი:

— ჩემო მერანო, ჩემო მერანო! ეხლავე იქნება ქერი, ეხლავე, მომიტევე რომ ამდენი ხანი გაცდეინე, შე საცოდავო! ცოტა ხანი მომითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება, რასაც მიირთმევ. უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს ხოლო დაბალ ხმაზე,—ნესტოებს ჰბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

— პაპავ, წაღები!... პაპავ, სათაგური! გაისმა ბავშვების ხმა, ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიეებოდნენ.

— ამ ბავშვების ცოდო წამწყმედს, თუ თხოვნა არ ავუსრულე.—სთქვა ესტატემ. არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიჰმართა, ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცქეროდნენ; ეფემია დოინჯ შემოყრილი თავ-მომწონედ დასჩერებოდა. სოფიოც შორი-ახლოს იდგა გულხელ-დაკრებილი და პირ მოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდიმოდიოდა კუდ-აფშრუკული ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსულ ტყავით. ექლიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახოდნენ, რადგან წამ და უწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. მჩხავანა კა-
ტა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს?...

— აბა რაზე რა დავაწყო, მოიტათ რამე, ადამიანებო— წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი.—ეს ბახტაკი! იჲ, იჲ რა არის, რომ იცოდე, ეფემიავ?! ნახე, რა არის და?!—სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქნური დაა-წყო ტაბაკზედ.

„ოჰ, თევზები, დედილო, თევზები! რა კარგებია, ჭრე-ლები! ამბობდნენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდნენ და საკოცნელად ელამუნებოდნენ; ყურს არ უგდებდნენ დედის ბუზღუნს, და დარიგებას: „ჭკვიანად იყავითო!“

— ესეც ძროხის ხორცი! ჩალალაჯია. ყასაბ გიგოლას მოვაჭრევინე. ჩემი ძველის-ძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემ-თვის ურიგო რასმე გაიმეტებდა!... ესეც ბრინჯი, აქულისაა! ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? კიდევ რა? ამბობდა ესტა-ტე მოღიმარი სახით:—ჰო, ესეც მწვანილი, ოხრახოში და წიწ-მატი თავის რამე-რუმეებით!... ჰაა, კიდევ გინდა რამე, ეფე-მიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ; ესეც ხმელი ხილი საა-ხალწლოდ. მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ; ესეც ილი, მი-ხაკი და დარიჩინი. ყველა ამა'ს, ეფემიავ, ერთი დედალი მი-უმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექ-ნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

— ადვილია, ადვილი,—წარმოსთქვა ეფემიამ.

— ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემია-ჯან?! ეუბნებოდა პირმოღიმარი ესტატე თავის მეუღლეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ვინა გწუნობს მერე?— მიუკო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— ვნახოთ მეორე ვაგონი, — სთქვა ესტატემ,—ვნახოთ აქ რაღა ამბავია? აბა აქ არის, რაც არის და! აბა, მოდით, მო-დით, ამოდით ნუ იმალებით და! ჩაჰხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩაწყობილს ნავაჭრ საქონელს.—ესეც სო-ნას საკაბე და ფეხსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დილილმე, დილილმე!—შესძახა სონამ და მიეცა ... პაპას ხელებში. ფეხსაცმელს და საკაბეს გულ-მკერდში იხუტებდა და სანახავად არავის ანებებდა.

— ესეც კოლას წაღები. სთქვა ესტატემ:—„ზაგრანიჩნია“ ნამდვილი, როგორ ლაპლაპებენ.—კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წაღები.—ესეც სოფიოს საკაბე, თავის მეფემ გამოუგზავნა.—სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქაღალდში გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ ეფემიამ დაასწრო და ჩამოართვა.

— ქიშმირია, ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ გამდიდრებულა ჩემი შვილი. აქამდის ჩითის კაბის ყიდვაც-კი ეზარებოდა და ახლა ჰყურობთ?.. უცბად ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო,—სთქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

— ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო და მარგალიტო,—სთქვა ესტატემ,—ნამდვილი საშენო, საბებრო. ამის მეტი ვერაფერი გიყიდე რადგან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით. ეჰ, ჩვენ ბებრები ვართ—მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჯიელები არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

— ვინ გემდურის, კაცო, ამისაც დიდი მადლობელი ვარ. სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან პატარიანად გულ მოდგინებით.

— ესეც თქვენი სათაგური! წარმოსთქვა ესტატემ:—ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიჭერთ?!.

— გიშველა ღმერთმა,—სთქვა გახარებულმა ეფემიამ:—სული-ღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში ვეღარაფერი შამინახავს... ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: „აბა როგორია, დიდედო?“ გაიძახოდნენ ისინი და თან გულ-მოდგინედ ათვალიერებდნენ თაგვების სულთა-მხუთავს...

— მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი-კი ჩაგარტყი მაგ თავში,—სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლა პირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა—მთელი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე, ეს სასიკვდილე მარტო ხელებში შემოგჩერებია, რომ ვაჭამოთ რამე.

— თქვენც სათაგური ამუშავეთ. სთქვა ესტატემ:—ღნავალა ძალიან ჭკვიანად, იქცევა, ცოდოს ერიდება.

— ცოდოს ამისმა მზემა,—სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუგუნი კატას:—დაიკარგე აქედან შე სასიკვდილევ, ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი, რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურს დაამყარა, იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა, დაადგა მართულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალ-საჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშ ქვეშ ამოიდეს... ბუხრის წინ მხოლოდ ღანავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადულარი მოჩანდა სახელოვან ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად.

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)



რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ

ამამთილი ამიტომ ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე:

— რა არის, ქალო, რომ ჩემს დაუძახებ ლად ადგეთ? ეგ რაღა გამოვიდა, რა-კი მე გაგაღვიძებთ, ვითომ მე გაძიკეთებია თქვენ მაგივრად საქმე. საკვირველია, ღმერთმანი, ნამწეწი ფიქრი და დარდი არა გაქვთ, საქმე სულ არ გაჯავრებთ, გინდ სახლი წყალმა წაიღოს, თქვენ მაინც არხეინად გძინავთ!

ასეთი ისტორია მუდამ დღე გამეორდებოდა ხოლმე.

კიდევ კარგი, რომ ქართლელ გლეხს დიდი ხათრი, სიყვარული და პატივისცემა აქვს ქალისა, თორემ სხვა ვინ მოუთმენდა?

რძლები ახალგაზდები იყვნენ, ჯანით და ღონით სავსენი, იღალებოდნენ კიდეც. ვერც დაიძინებდნენ, ვიდრე ყველა ოჯახში მყოფი არ დაწვებოდა. მუდამ ჩიკორივით ფეხზედ უნდა ეტრიალნათ. ასეთი იყო ჩვეულება.

პატარა ბიჭიც-კი ამათ უძახდა:

— ძალო! წყალი დამალეინეე! და თუ ერთ-ერთი ძალო მაინც არ გაიგონებდა, კვლავ მოისმოდა უფრო მკაფიოდ:

— ძალოო! წყალი დამალეინეეე! ცომშიაც რომ ჰქონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ ხელები, მეტი ღონე არ იყო, უნდა ამდგარიყვნენ და შეესრულებინათ მათი სურვილი.

— ფეფეე!

— ბატონო!

— წყალი შედგი, ჭურჭელია დასარეცხი. უბძანებდა დედამთილი.

— ემ საათში, ბატონო, ბავშვს ძუძუ უძევს პირში, დავაძინებ და ეხლავე!

— ფეფეე!

— ბატონო!

— ემანდ დოა შესადღეები, ჩვენებიათ სადღეებელი გამოართვი!

— ემ წუთაში, ბატონო, ემ წუთაში და დაფაცურდებოდა წასასვლელად.

— ფეფე! ეძახდა მაზლი.

— ბძანე! ეტყობოდა, რომ ჯეელ მაზლს სხვა კილოზედ აძლევდა პასუხს.

— მოდი, კევრზედ დაუდეგ, უნდა ვენახში ავირბინო, პატარა პირის გასასველებელი ჩამოვიტანო რამე!

— ემ საათში, ემ საათში, სადღეებელს ჩამოვაბამ და მოვალ.

— ბევრი წამოიღე, გიგა!

— დედაა! ღრიალებს პატარა ქალი, რომელიც აკვნისთვის მოუყენებიათ.

— ჰაჯან, ქალო! გაეპასუხება ალერსიანად დედა.

— გიგლა ტირის, ძუძუ მოაწოვეე!

— ადამიანო! მოდი კალოა საქცევი, ნაპირი შემოსაგველი, ი ბიჭი სადღა გადაიკარგა, ე ბალღები ამ ხარებს ვერ ატარებენ! უძახის ქმარი.

— შენღა მაკლდი, შენმა მზემა! ბუზღუნებს ფეფე. რა ფეფე, რა თინა, ორივენი, მუდამ დღე ამ ყოფაში იყვნენ. ისინიც ციბრუტივით ტრიალებდნენ, ყველას ასწრობდნენ, აკეთებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცქერის მამამთილი, რომ ამისი რძლები აქაც ბრიან, იქაც, თითის ტარივით ფეხზედ ტრიალებენ, მაინც ასე იძახის:

— პატარძლებია, მაგრე უნდა, მაშ როგორ იცხოვრონ. დალალულ ფეფეს ხშირად, როცა შვილი ძუძუდან რძეს სწუწნის, თავჩაქინდრულს აკვნის უღელზედ მიეძინება ხოლმე, აფხიზლებს მხოლოდ გიგლას კბილები, რომელიც ძუძუზედ ჰკბენს, რაკი ძუძუში რძე ალარა აქვს.

— უი ჩემ თვალებს, რაზედ მამამთილი მომასწრობდა! დაიძინე, შე აბეზარო, არ გესმის, მეძახიან! და თან გულიანად ჰკოცნის გიგლას მსუქან თათებსა.

მამამთილი ხანში შესული კაცია. მხნე, გამრჯელი ალალი ლუკმის მჭამელი, როგორც მომეტებული ნაწილი ქართლელი გლეხობისა. ღამე ერთი პირი წაეძინება, მერე წამოდგება, ჯერ ისევ ღამეა. პირზედ წყალს შაისხამს; პირჯვარს გადიწერს:

— ღმერთო, გვიშველე, დალოცვილო! ღმერთო, უშველე ხალხს საქრისტიანოსა. ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულსა!

არე-მარეს დაათვალიერებს: საბძელს, კალოს, ძნას, ბაკს, ბოსელს, საღორეს.

— მტერს არა სძინავს, იქნება მოიპარა ვინმემ რამე, ან გააფუჭა, ზარალი მომაყენა. მერე შვილებს გააღვიძებს.— ადექით, ბიჭო, რა არი მაგოდენა ძილი? დავიჯერო ამოდენა ღამეში ვერა ძღებით ძილითა?

ბოლოს რიგი რძლებზედ მიდგება. თუმცა დედამთილიც ჰყავს, მაგრამ იმას უფრო არ ეშეტება გასაღვიძებლად.— ჯეელებია, ილალებიან, დაიძინონო. იღვიძებენ რძლებიც უწადილოდ, თვალების ფშვნეტით, მოქნარებით, დედამთილის იმედი აქვთ.

—

საწყლებს დაუძახებლად თითქმის მუდამ გვიან ეღვიძებოდათ, ან ნახირის გარეკა დაუგვიანდებოდათ, ან კალოს გაშლა, ან თონის გახურება და პურის გამოცხობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს სულ მაგ ოხერი ძილის ბრალია, იძახდა, მამამთილი, აბა, ადრე ადეგით, თუ ან კალო დაგრჩეთ გასაშლელი, ან პური გამოსაცხობი, ან ძროხები დასაწველი. მართალია ჯეელებია, ძილი უყვართ, მაგრამ თუ ჯეელი არ ადგა ადრე, ეხლა მე გინდ მთელი ღამეც ფეხზედ ვეხირო, რიღას მაქნისი ვარ, რას გავაკეთებ!?

მერე კალოობაშია გაჭირვება. ადრე უნდა ადგე, კალო გაშალო, მთელი დღე პაპანაქებაში კალოზედ იტრიალო, საღამოთი ხვავის აღება გვიანდება, მერე თუ უქარო დღეა, ან ძალიან ქარიანი, და აბა სანამ ხვავს არ აიღებენ, კალოს მოშორება როგორ შეიძლება, კალო ნარდია. ძალიან იღალებოდნენ. ღამეც ბავშვები აღვიძებდნენ, და ამიტომ დილით ადრე ადგომა ესიკვდილებოდათ. მამამთილს ძალიანა სურდა, როგორმე მოეშლეინა იმათთვის დილის ძილი.

— დაიცათ, ქალებო, ისეთ ოინს გიზამთ მამიჩემის ცხონებამ, რომ თავის დღეში არ დაგავიწყდეთ და აღარც გაღვიძება მოგინდეთ. თქვენ თუ ისე არ გიყავით, ვერ ისწავლით დილით ადგომასა.

რძლებიც და ყველანიც მოელოდნენ, რომ მამამთილი უპირობდა რაღასაც, მაგრამ რას? ის-კი არავინ იცოდა.

ერთ საღამოს მამამ სახლში მყოფს ყველას გამოუცხადა, ხვალ დილით არამც და არამც თინა და ფეფე არავინ გააღვიძოთ, თორემ ან მე ვიქნები და ან თქვენაო. რძლებს-კი არ გააგებინეს ეს გადაწყვეტილება. ყველა მიხვდა, მამა რასაც აპირობდა.

ფეფეს და თინას თავის ბალღებით და დედამთილს დარბაზში ეძინათ ხოლმე, მამამთილს კალოზე, დანარჩენებს ზოგს საბძელში, ან ვენახში, ზოგს კიდე კალოს ხარი მინდორში მიუდიოდა.

დილით ყველანი ადრე წამოხტნენ. დედამთილიც ადგა, თინასა და ფეფეს კი ისევ ეძინათ დარბაზში.

— არ ადგნენ? იკითხა მამამთილმა.

— არ ამდგარან! უპასუხა ცოლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, ფეხაკრეფით, ერთი ჭილობი მიიტანე და ბაზის ბანს (ფრანგულს) დააფარე, კრინტი არ დასძრა, თორემ უერთოდ ვერ გადამირჩები. უბძანა ქმარმა.

— ერთი თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, სცადა გამოქომაგება დედამთილმა.

— ეგ შენი საქმე არ არის, წადი, რაც გითხარ, აასრულე. თუ შუქი ჩასულა საიდანმე, იცოდე, ველარ გადამირჩები. ნახირი და ღორ-ხბოც არ გარეკოთ!

ცოლმა კიდევ რამდენჯერმე სცადა დაეშლეინა ეს ახირებული გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ.

დარბაზში ისეთი სიბნელე გამეფდა, რომ თვალში თითი გეტაკებინა, ვერაფერს დაინახავდი. ქართლში დარბაზებს მხოლოდ ბანიდან ჩასდის სინათლე. სიცივის გამო სახლებს მიწაში აკეთებენ, კედლები ან ალიზისაა (გამოუწვავი აგურისა) ან ბელტისა, ან ქვითკირისა, ან ისე ყორეა, ზოგჯერ არც ის არის და არც ის, მიწაა პირდაპირ კედლად. ეს ქონებაზედ არის დამოკიდებული და ადგილ-მდებარეობაზედაც. სადაც შეშა და ქვა ძვირია, იქ მიწური, ან ბელტი და ან ალიზია კედლად, სადაც კლდის ქვა ბევრია,—იქ ყორეა უკიროდ და სადაც ქვაც ბევრია, ქვიშაც და კირიც იშოვება, უფრო ქვითკირს აშენებენ—რაკი სახლი მიწაშია ჩამძვრალი, ფანჯრები სად გაუკეთდება, სახლი ისევ მაღლიდან უნდა გაშუქდეს. ამიტომ დარბაზებს ზედ კერის თავზედ დადგმული აქვს მაღალი მუხის ფიცრების ჭდეული ბანი, სიმაღლით სამი არშინი ან ცოტა მეტ-ნაკლები. მაღლა ეს ბანი შაქრის თავივით წვრილდება და შორიდან ძველებურ მაღალ ქუდს მოაგონებს კაცსა. კერიდან ბოლიც ამ ბანიდან ადის და მზის შუქიც აქედან ჩამოდის. აქვე აკეთებენ მერცხლები ბუდეს და კერას დაჰგალობენ, თუ ამ ბანს დაჰფარდა და კარებიც დახურულია, უსანთლოდ დარბაზში აღარ შეისვლება.

—

ფეფე და თინა გემრიელად ხვრინავდნენ. ერთხელ ერთს რომელსღაც კიდეც გამოეღვიძა, ამოიხედა ხომ არ გათენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო, მაგრამ რაკი ბანში შუქი ვერ დაინახა, ისევ გადაბრუნდა და ხვრინი ამოუშვა.

— აბა ჯერ ადრე იყო და ძილი-კი ასე ტკბილი და გემრიელია!

ცოტა ხნის შემდეგ უფრო ბარაქიანი ხვრინვა გაისმოდა დამშვიდებულ დარბაზში.

უკვე კალოს სადილობა გადასული იყო, (სადილობა დილის პურის ჭამას ჰქვიან და სამხარი—სადილს ქართლში) როცა ფეფეს გამოელვიძა. მართალია ბნელოდა, მაგრამ ღამეს მაინც არა ჰგვანდა, ძილით იყო გამაძღარი, და რაღაც შიშით მაინც გული ურაკრაკებდა.

— თინა! თინა! წაჰკრა ხელი რძალსა.

— გაიღვიძე, რა გაუღვიძარი შეგეყარა, ადექ!

— რა გინდა, ქალო, რა დამაფეთიანე? ისევ ღამე ყოფილა! გაუჯავრდა თინა.

— რა ვიცი, ქალო, ე შუქი-კი არა ჩანს, მაგრამ ალარ მეძინება, აბა ყური დაუგდე, თითქო ალოსხარს უჯავრდებიანო. რაღაც უბედურობაა ჩვენს თავსა. ბანს ხომ არ დახურეს განგება. ადგნენ ჩქარა, ხელად გადიცვეს კაბის ბოლოები. კარებების ნაჭვრეტებში მზის შუქი ოქროს ძაფივით შემომძვრალიყო და აქა იქ—მიწის იატაკზედ ბჭყვრიალა მძივებივით თრთოდა და კანკალებდა. ხანა ჰქრებოდა, ხან ისევ ენთებოდა. გარედან შრომის ხმა და ღრიანცელი ისმოდა.

გამოალეს კარები!..

ვაი სირცხვილო!

ასეთია მზე, სწვავს დედამიწას. ხალხი სულ კალოებზედ გახვეტილა, აქ ერთიც არავინ ჩანს, იქიდან-კი გაჭეხებული „ჰარალოს“ ხმა მოისმის.

მეხრეო ხართა ნანაო,
ნიადაგ მოუღალაო!
ერეკე ხარსა კუდასა,
ღონიერს და მუდამსაო,
ერეკე ხარსა—კამეჩსა,
მოზვერს ხამუშიანსაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი,
ნამგალს გაჭრონდა ჟრიალი...
სამხარი გადმოგვიტანეთ
ეგ ოხერი და ტიალი!

თითქო ამათი გულის გახეთქა უნდაო, ვილაც არაკრაკებდა.

— ვაიმე, ნახირი არ გაურეკიათ! — ტირილის ხმით იძახის თინა.

— არც ღორ-ხბოა გარეკილი!

— ძროხებიც დასაწველია!

— ჟუკიებიცა წივიან, არ უჭმევიათ.

— არც კრუხ-წიწილა გამოუშვიათ!

— ვაი ჩვენს შერცხვენას!

— ვაი ჩვენს თავსლაფ დასხმას!

ახლა კი გულამოსკვნით ღრიალებდნენ თინა და ფეფენა. ახლა საქმე მაშინ იყო, როცა საქონელი და ღორ-ხბო შუა სოფელზედ ჩაატარეს.

საქონელს მოშივნოდა, გაცოფებული დარბოდნენ აქეთ-იქით, დასდევდნენ თავგადაგლეჯილი თინა და ფეფეც. ხალხი-კი სიცილით იხოცებოდა ამ ოინზედა.

— რა ოხერი კაცია ე ანდრუა! იძახდა ხალხი.

— არც ახლა ადგებით ადრე? იძახდა ერთი ნიშმოგებით.

— კიდევ დაიძინებთ დილის ძილსა?! დასცინოდა მეორე. ერთი სიტყვით, რომ დედა-მიწა გახეთქილიყო და შიგ ჩაცვინვულიყვნენ, ის ერჩივნათ ფეფეს და თინას, ოღონდ ამ შერცხვენას-კი არ მოსწრებოდნენ.

არც მამამთილი იყო გაჯავრებული:

— არგებთ, საკვლაოდ მაგდენს ალარ დაიძინებენ! ან-კი რალა დააძინებთ?!

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტირიფი ასე ტიროდა

ის ტატნობს შავი ღრუბელი
ზედ გადაეკრა შავადა,
და ვით არწივმა ფრთის გაშლით
სივრცეში გაინავარდა,
დამყაყებული მიდამო
მოიხსენია ავადა...

—

სადღაც ხევხუვში ბორიო
შემოდგომის ხმებს ჰკივოდა,
იქვე ობოლსა ტირიფსა
ცრემლები ჩამოსდიოდა,
სუსხისაგან მობღუნძულიყო,
ფოთლები დაბლა სცვივოდა.

—

ასე ტიროდა მწარედა:
„დამისამარეს ფოთლები,
მარად ებრძოდნენ შავ ზამთარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედ-მამით დანაობლები,
ზაფხულის პირის ტრფიალნი,
ზამთრისა მუდამ მგმობლები!..

—

უკანასკნელი ფიქრები
თან გაატანეს ნიავსა,
სუსხმა გასთელა მიდამო,
დღეს ვერ უყურეს მზიანსა...
ჩამოსწყდნენ დედას მშობელსა,
ველარ გაუძლეს ზიანსა.

—

მაგრამ ცოცხალია მაინც გვწამს,—
კვლავ გაზაფხული დადგება.
თქვენი ანდერძი, ფოთლებო,
კვლავ ხორცს შეისხამს, ადგება.
ყინული ისევ გალხვება
და თოვლი ისევ დადნება!..“

—

ასე ტიროდა ტირიფი,
ცრემლები ჩამოსდიოდა,
სუსხისგან მობლუნძულიყო,
ფოთლები დაბლა სცვივოდა.
სადღაც ხევხუვში პასუხად
ბორიო ისევ ჰკივოდა...

იასამანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზარეთში

(თარგმანი)

ერთს დღეს ხუთის წლის იესო იჯდა თავის მამის სახელოსნოს კარებში და თიხის ჩიტებს აკეთებდა. იესო დიდად ბედნიერად გრძნობდა თავს: ტოლმა ბიჭებმა უთხრეს, მეჭურჭლე ძალიან პირქუში კაცია და, იმისი მოხიბლვა არავის შეუძლიან არც კეთილ ქცევით და არც ალერსიან სიტყვით. სწორედ ამ კაცმა აჩუქა იესოს სათამაშოდ თიხა!..

იესომ თითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა ეს. ახსოვდა მხოლოდ, რომ ის იჯდა თავის კარებთან და დაკერვებით თვალს ადევნებდა, მეჭურჭლე რომ სხვა და სხვა ჭურჭელს აკეთებდა. უცბად ეს კაცი გამოვიდა თავის დუქნიდან, მივიდა იესოსთან და აჩუქა დიდი თიხის გუნდა.

იქვე მეზობლად სახლის კიბის საფეხურზე იჯდა უსახური, წითელ თმიანი ბიჭი იუდა. ქუჩის ბიჭებთან მეტი ჭიდაობით მთელი სახე დალურჯებული ჰქონდა და ტანისამოსი დაფლეთილი. ამ ჟამად-კი დამშვიდებული ისიც თიხის ჩიტებს აკეთებდა,— თიხა იესომ მისცა. თითონ იუდა ვერა სთხოვდა მეჭურჭლეს, იცოდა რომ გამოაგდებდა, რადგან ხშირად ქცევებს ესვროდა ხოლმე იმის ჭურჭელს და უმტვრევდა.

როდესაც ჩიტები დაამზადეს, ორივემ ირგვლივ დაამწკრივეს. ესენიც ისეთები იყო როგორც საზოგადოდ თიხის ჩიტები: სქელი ფეხები ჰქონდათ, მოკლე კუდები, თითო ბეწო ფრთები, კისერი არ უჩანდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ორივეს ნამუშავარს მაშინვე ეტყობოდა გასხვა-ვება: იუდას ჩიტები ისე უხეიროდ იყო გაკეთებული, რომ ვერა დგებოდნენ, მაშინვე აყირავდებოდნენ ხოლმე, თუმცა ცდილობდა შნოიანები გაეკეთებინა და დაეყენებინა. დრო და დრო უჩუმრად მიიხედავდა იესოსაკენ, რომ დაენახა, რა რიგად ახერხებდა იესო ისე ლაზათიანად და სუფთად გაკეთებას.

რამდენიც ჩიტი ემატებოდა იესოს, იმდენად მეტ სიხარულსა-გრძნობდა. ჩიტებიც ერთიერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, თითონაც თვალს ველარ აშორებდა, სიხარულით და ალერსით შესცქეროდა თავის ნამუშავარს. ეს ჩიტები იქნებიან მისი მეგობრები, პატარა დები, იმასთან დაიძინებენ, ემუსაიფებიან და უმღერებენ, როცა დედა სხვაგან წავა და იესოს მარტო დასტოვებს; ამის შემდეგ მარტოობას ალარ იგრძნობს პატარა იესო.

ამ დროს ორმა კაცმა გამოიარა, ერთი მერწყულე იყო და წაკუზული მოდიოდა მძიმე ტვირთ ქვეშ, მეორე მწვანილით ვაჭრობდა და ცარიელ კალათებით დატვირთულ ვირზედ იჯდა. ორივენი შეჩერდნენ. პირველმა ხელი დაადო იესოს ხუჭუჭ თმიან თავზედ და ჩიტების ამბავი ჰკითხა. იესომ სიხარულით უამბო, ჩემს ჩიტებს ყველას თავისი სახელი ჰქვიან და სიმღერაც იციანო. ეს ჩიტები სხვა ქვეყნებიდან მოფრინდნენ და ისეთი ამბები მიამბეს, რომელიც მხოლოდ მე და ჩემმა ჩიტებმა ვიცითო. ისე ხალისიანად და საგანგებოდ უამბობდა იესო, რომ საქმე დაავიწყდათ ორივეს. ბოლოს, როცა წასვლა დააპირეს, იესომ მიუთითა იუდაზედ და უთხრა:

---- აბა უყურეთ, რა ლამაზი ჩიტები გააკეთა იუდამაც.

ახლა იუდასთან მივიდნენ და ალერსით ჰკითხეს ჩიტების ამბავი. იუდამ არც-კი შეხედა, გაჩუმებული შეუპოვრად განაგრძობდა თავის საქმეს. მერწყულეს გული მოუვიდა, გაჯავრებულმა ფეხი ჰკრა იუდას ერთს ჩიტს და წავიდა.

ასე გავიდა დღე. მზემ დაბლა დაიწია. ჩამავალი მზის სხივები ოდნავ ეკარებოდნენ ვიწრო ქუჩის პირს, ალის ფრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებავდნენ ყველაფერს, რაც-კი ხვდებოდათ გზაზედ. ბოლოს
მო ყოველი ნივთი ალისფერადა ჩანდა.

ქუჩის ქვა ფენილში ჩამდგარი გუბეები მზის სხივებზედ
ოქროს ფერადა ბრწყინავდნენ.

იესომ ხელი ჩაჰყო გუბეში. მან მოინდომა თავის ჩიტე-
ბის წითელ სხივებით დაფერვა.

სხივები სიამოვნებით დანებდნენ და იესომ რომ სველი
ხელი გადუსვა ჩიტებს, მაშინვე სხივებით შეიმოსნენ და ალმა-
სივით დაიწყეს ბრწყინვა.

იუდამ, რომელიც დრო და დრო ათვალიერებდა იესოს
ჩიტებს, აღტაცებულმა შეჰკივლა, იესოს ჩიტები რომ დაინა-
ხა სხივებით დაფერილი. იმანაც მაშინვე ხელი დაისველა
წყლის გუბეში, უნდოდა სხივი დაეჭირა. მაგრამ სხივი არ
დანებდა, თითებ შუა გაუსხლტა და ჩიტებიც ვერ დაფერა.

— მოიცა, იუდა,—უთხრა იესომ,—მოიცა, მე გიშველი
შენი ჩიტების დაფერვას.

— არ მინდ—უპასუხა იუდამ. არ გაბედო და ხელი არ
ახლო! ესენი ისეც ლამაზები არიან.

ადგა ზეზე, წარბები შეიჭმუხნა, პირი მოკუმშა და
უცბად გაანჩხლებულმა ფეხით გასრისა ჩიტები.

თავისები რომ გაანადგურა, იესოსთან მივიდა, რომე-
ლიც ისევ აფერადებდა თავის ჩიტებს. ისინი ბჭყვიტავდნენ,
როგორც ძვირფასი თვლები. ერთს წამს შედგა და ჩუმად ათვა-
ლიერებდა, მერე აიღო ფეხი და დაადგა ერთ ჩიტს.

როდესაც იუდამ ნახა, რომ მის ფეხ ქვეშ ერთი ჩიტი
ჩაიმსხვრა, ბრაზით აივსო, საძაგლად გადიხარხარა, ხელ მეო-
რედ აიღო ფეხი, რომ სხვებიც დაესრისა.

— იუდა! დაუყვირა იესომ, რასა სჩადი? ესენი ხომ ცოც-
ხლები არიან!

იესომ მიიხედ-მოიხედა, თითქოს საშველს ეძებდა. იუდა
იმაზედ დიდი იყო და იესო ვერ მოერეოდა. დედას ეძებდა;
არც შორს იყო მარიამი, მაგრამ მანამ ის მოვიდოდა, იუდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ დაუმტვრევდა ჩიტებს. თვალები ცრემლით აევსო... ოთხი ჩიტი დაუმტვრია იუდამ, სულ სამი-ღა დარჩა.

საშინლად სწუხდა, რომ ჩიტები ასე ესრესინებოდნენ იუდას ფეხ ქვეშ. უცბად ტაში შემოჰკრა და დაუძახა ჩიტებს:

— გაფრინდით, გაფრინდით!...

ამ ბრძანებაზედ სამივე გაცოცხლდნენ, ფრთები შეაფთხრიალეს და მოკრძალებით აფრინდნენ ბანზე, სადაც ხელს ველარავინ ახლებდა.

იუდამ რა ნახა, რომ იესოს ბძანებით თიხის ჩიტები გაცოცხლდნენ, ფრთები გაშალეს და გაფრინდნენ,— ქვითინი დაიწყო, თმებში ხელი წაივლო და დაეცა იესოს ფეხებთან.

როგორც ძაღლი, ისე ფოფხავდა ქვა ფენილზე მის წინ, მუხლებზედ ჰკოცნიდა და ემუდარებოდა, რომ იესოსაც ისე გაესრისა ის ფეხ ქვეშ, როგორც იმან იმისი ჩიტები დასრისა და დაამსხვრია. იუდას ერთსა და იმავე დროს კიდეც უყვარდა იესო, მის მოქმედებით აღტაცებული იყო-და, კიდეცა სძულდა.

მარიამი რომელიც მათ თამაშობას ჩუმად თვალ-ყურს ადევნებდა, ადგა, ააყენა იუდა, დაისვა კალთაზე და მიუალერსა:

— საწყალო ბიჭო! რა ჰქენი ეგ? არას დროს აღარ ჩაიდინო მაგისთანა საქმე, თუ არ გინდა, რომ ყველაზედ უბედური იყო ადამიანთა შორის. ვაი იმას რომელიც მიჰბაძავს მას, ვისაც შეუძლია მზის სხივები საღებავად აქციოს და უსულო თიხას სიცოცხლე შთაბეროს!

ელ. ანტონოვსკისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პაწია მეგაზეთე

(გერმანულით)

ამთარი იდგა. დიდ ქალაქის ქუჩებში ძლიერი ქარი ქროდა, ბაღებში ხეების შიშველ ტოტებს ღონივრად არხევდა, სანათს ისე საშინლად უბერავდა, რომ ძლივს-ღა აშუქებდნენ; ერთ-თავად გაქრობას ლამობდნენ. სადაც-კი ქარი ღია დაჰხვდებოდა, მაგრა მიაჯახ-მოაჯახუნებდა. ერთი სიტყვით, ზამთრის მეტის-მეტად ცივი საღამო იყო. თბილად ჩაცმული მგზავრები გაჩქარებით მიესწრაფებოდნენ შინ, რომ ამისთანა ქარიშხალისათვის როგორმე დროზე დაეღწიათ თავი. ყველანი ჩუმად მიდიოდნენ. არავის არ ჰქონდა დრო, რომ ყურადღება მიექცია ერთის მეტად დაფლეთილ ტანისამოსიან ყმაწვილისათვის, რომელიც საბრალო ხმით გაიძახოდა ქუჩა-ქუჩა: „გაზეთი, გაზეთი!“ ერთმა მგზავრმა მსწრაფლად ჩაუარა და დაცინვით მიაძახა მეგაზეთეს: „ეცადე, ყმაწვილო, სანამ შინ მიხვიდოდე, ამ ქუჩაზედ არ გაიყინო.“

ეჭვი არ არის, ბავშვი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას ამ დარიგებას, რომ მას მართლა ბინა ჰქონოდა. წარმოიდგინე, მკითხველო, შეიძლება განა შინა და ბინა უწოდოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანმა იმისთანა სახლს, სადაც მას დედა არ ეგულება და მამა შვილის ნაოფლარით ნაშოვნს ფულს ღვინოსა და არაყში ჰფლანგავს? სადაც შვილი მშობლიურ ალერსის მაგივრად ცემა-ტყეპის მეტს მამისგან ვერასა ჰღირსებია?

ბავშმა ვიწრო ქუჩისკენ შეუხვია, რომელიც იმის აზრით უფრო დაიფარავდა მგზავრს საშინელ ქარისაგან, მაგრამ ვაი მის უბედურობასა! ამ ქუჩაზედ უფრო ნაკლებად დადიოდა ხალხი, ვიდრე წინანდელზე და სუსხიანს ღამეში უფრო და უფრო გულსაკლავად ისმოდა ძახილი: „გაზეთი, გაზეთი!“ „რა მომელის დღეს?“—წაიბუტბუტა ბავშვმა და შიშისაგან აცახცახებულმა ნათლად წარმოიდგინა ის ცემა-ტყეპა, რომელიც მას უეჭველად მოელოდა შინ, თუ მამას ფულს არ მიუტანდა. საბედნიეროდ, ერთმა აზრმა გაუარა ყმაწვილს თავში. ქალაქის განაპირა უბანში ცხოვრობდა ერთი მოხუცებული კაცი, რომელიც მუდამ ალერსითა და კეთილი გულით ეპყრობოდა ბავშვსა.

„აი სწორედ იმასთან შევივლი და რამდენსამე გაზეთს მივყიდი“—გაიფიქრა ბავშვმა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიან იყო და გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი, ქარი კიდევ შეუწყვეტლად აყრიდა თავ-პირში თოვლსა, ბავშვი მაინც ახლად არჩეულს გზას დაადგა. ჩქარი სიარულისაგან თითქმის სულ შეხუთულმა ყმაწვილმა, როგორც იყო, მიაღწია მოხუცის სახლსა. ზარის წკარუნზედ თვითონ მოხუცი გამოვიდა; მაგრამ, რადგანაც ჯერ კიდევ არ გამორკვეულიყო წიგნის კითხვიდამა, დაბნეულად ისმენდა ბავშვის წყნარს სიტყვებს.

— მოიტა, მაშ, მალხაზო, ერთი გაზეთი, — უთხრა მან ბავშვსა და თავი დაუქნია. — ფულს აი, ეხლავე გამოგიტან. ამის თქმაზედ მოხუცი შევიდა ოთახში, მაგრამ ისევ მალე გამოვიდა და ბავშვს შავი ფულის მაგივრად ქაღალდში შეკრული გადასცა. შემდეგ კიდევ დაუქნია მეგობრულად თავი და კარები მოხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანათის სინათლეზედ ყმაწვილმა ქალალდი მოწაწებით გახსნა და დიდად გაოცდა, როდესაც შიგ ათ თუმიანი იპოვა. იფიქრა,—ალბად შეეშალა მოხუცსა და გაზეთის ფასის მაგივრად ამოდენა ფული ჩასდოვო. რომ სცოდნოდა, როგორ გამოართმევდა? მიირბინა ბავშვმა კარებთანა და ხელახლად ჩამორეკა ზარი.

შინ არ იყო მოხუცი, თუ არ უნდოდა საქმეში ხელი შეჰშლოდა, კარს არავინ უღებდა. ერთს ხანს კიდევ იდგა ბავშვი კარებთანა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და შინისაკენ გაუდგა გზასა.

„ხვალ წავუღებ უკან მოხუცს თავისს ფულსა,"—გაიფიქრა მან,—„ეხლა-კი იქნება მამა-ჩემი შინ არ დამიხვდეს და დღეს მაინც არის გადვურჩე ცემას. ოჰ, რა ბედნიერება იქნება!"

მაგრამ ბედნიერებაზედ ტყუილად ოცნებობდა ყმაწვილი: შესდგა თუ არა ფეხი ღარიბად მოწყობილს პატარა ოთახში, სადაც მამა-შვილი ცხოვრობდნენ, მამამ მაშინვე მკაცრი ხმით მიაძახა:

—სად დაიკარგე დღეს ამდენ ხანს? მე აქ სიმშილით ლამის კუჭი გამიხმეს, ფულს ველოდები, რომ ერთი ნაჭერი პური მაინც არის ვიყიდო, და შენ-კი, ლაწირაკო, მაღოდინებ? შემო ჩქარა, მოიტა ფული.

—მამა-ჩემო!—მიუგო ბავშვმა—დღეს სრულებით არ მიშოვნია ფული, ვერც ერთი გაზეთი ვერ გავყიდე.

—სტყუი,—წაიბუტბუტა არყისაგან გალექებულმა მამამ და მუჯლუგუნების ცემა დაუწყო საბრალო ბავშვსა; მთლად გამხეცდა, რომ ნახა, თავისი წადილი იმ წამსვე ვერ დაიკმაყოფილა. პურისთვის-კი არა, გამხეცებულს მამას ფული დუქანში გასაფლანგავად უნდოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიყვირა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სტყუი, სტყუი! გექნება ფული! —დასჭყივლა ხელოვნური
და გაბრაზიანებული ბავშვის ჯიბეებს ეცა... მისწივ-მოსწია და
ამოიღო ქაღალდი. —ჰა, ეს რა არის?! და ამ სიტყვებზედ ერთი
ისეთი მუჯლუგუნი წაჰკრა, რომ ბავშვი წაბარბაცდა. ისკუპა
მაშინვე მამამა და უმალ მკრთალ სინათლიან სანათთან გაჩნდა,
რომ უკეთ გაესინჯა. საბედნიეროდ მალე მოლბა, რადგანაც
შიგ ფული ბლომადა ნახა და მაშინვე ის გაიფიქრა, რომ
ეხლა კარგა ხანს სულ უდარდელად შეიძლებდა თავის გა-
რყვნილ სურვილთა დაკმაყოფილებასა. ამ დღეს ბავშვი
მართლაც ცემას გადურჩა. „შე ტყუილა, საძაგელო, გინ-
დოდა მამა მოგეტყუებინა? ეხლა შენ შინ დარჩი, მე-კი
წავალ, პურს ვიყიდი“. უთხრა ესა, ფარულად ჩამოიღო ღუ-
მელის თავზედ შედგმული პატარა ბოთლი და მახლობელ
დუქნისაკენ გასწია. ტანთ გაცვეთილი პალტო ეცვა; დაი-
ხურა ქუდი და გავიდა ოთახიდგანა.

სიცივეში სირბილის გამო ბავშვი მთლად მოქანცული
იყო; მოსძებნა სადღაც კუნჭულში გამხმარი პურის ნატეხი,
რომ სიმშილი მოეკლა; შემდეგ აცოცდა ნესტიანს ჩალასა
და ძონძებზედ, რომლებსაც ლოგინად ხმარობდნენ, და დაი-
წყო იმ ღარიბს მოხუცზედ ფიქრი, რომელიც მას ასე მეგო-
ბრულად და ალერსიანად შეეგება. ნახევარ საათის შემდეგ
მამა უკვე დაბრუნდა უკან ლანძღვითა და ბუზღუნით, რად-
განაც ალაყაფის კარები დაკეტილი დაჰხვდომოდა, მეეზოვეს
ღია არ დაეტოვებინა. ბევრის ლანძღვა-გინების შემდეგ გა-
გორდა ბოლოს ლოგინზედა და ცოტა ხნის შემდეგ მაგარი
ხვრინვაც ამოუშვა.

ბავშვს არ ეძინა; ფიქრობდა. უცებ რაღაცა აზრმა გაუ-
ელვა თავში. წყნარად, ცახცახით წამოდგა ზეზედ, ჩაიცვა
თავისი დაფლეთილი ტანისამოსი, მივიდა ნელა მამის პალტოს-
თანა, გაუსინჯა ჯიბეები და გულის ძგერით ამოართვა ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მივიდა შემდეგ ფანჯარასთანა, გამოაღო ფრთხილად ისკუპა და ქუჩაში გადახტა.

ქარი ჩავარდა, თოვლი გადიღო, ღრუბლები გაიფანტნენ. მოციმციმე ვარსკვლავებმა მეგობრულად გადმოჰხედეს ზემოდან პაწია მეგაზეთეს, რომელიც ზამთრის სუსხიანს ღამეში მიყრუებულს, თოვლით დაფენილს ქუჩებზედ გაჩქარებული მიდიოდა მოხუცის პროფესორის სახლისაკენ, რომ ფული უკანვე გადაეცა. მივიდა, როგორც იყო, სახლთანა და მსწრაფლად ჩამორეკა ზარი, მაგრამ კარები არავინ გაუღო. მდგმურები უკვე ღრმა ძილს მისცემოდნენ, არავის რა ენაღვლებოდა, თუ საცოდავი გაყინულ გათოშილი ბავშვი ვინ იცის რა გულით ნატრობდა მოხუცის მალე ნახვასა. კიდევ ჩამორეკა ზარი, მაგრამ უცებ ვიღაცა კაცი წაადგა თავზედ და გაკვირვებით აათვალ-ჩაათვალიერა.

—შენ ეი, ვაჟბატონო! აქ რას აკეთებ მარტოდ-მარტო ამ ღამეში? ქურდობა ხომ არ გინდა? არ იცი, განა, რომ აქ მახლობლად პოლიციელი დგას?! — დაუყვირა მან შეშინებულ ბავშვს.

„ეხლა-კი, რაც უნდა იყოს, არ დავბრუნდები შინ; დეე, ციხეში ჩამსვან“!—გაიფიქრა ბავშვმა,—„ხვალ დილამდის აქ დავიცდი, ცემას მეტი შინ რა მომელის“! და დაიწყო სახლის წინ და უკან სიარული.

„დედილო! რა საშინელი სიცივეა! ყურები და თითები მთლად გამეყინა, მეწვის! ოჰ, რა კარგია ეხლა თბილს ლოგინში წოლა. არა, ჯერ პურითა და ხორცით კარგად გაძღომა და მერე თბილს ლოგინში ჩაწოლა! ოჰ, რა კარგია! სამოთხეც ვერ აჯობებდა ამასა“!—ფიქრობდა საბრალო ბავშვი. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, სიცივესთან საშინელი დაღლილობაც იგრძნო. ქუჩა თოვლით იყო სავსე... თოვლზედ წოლა ხომ არ შეიძლებოდა? მარტო კარების ზღრუბელი-ღა იყო თოვლისაგან თავისუფალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს დილით რომ მოხუცის მსახურმა აღარ ეგონა კარები გამოაღო, კარის ზღურბლზედ ძონძებში გახვეული, გაყინული პატარა ბავშვი დაჰხვდა რომელსაც გაფიჩხებულს პაწია ხელში მაგრა ეჭირა ათ თუმნიანი ქაღალდი. პაწია მეგაზეთეს უნდოდა საყვარელ მოხუცისათვის ფული უკანვე დაებრუნებინა.

მიხეილ მაჭავარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. ვერონიკას ჩადრი

(ლეგენდა)

სელმა ლაგერლეფისა

ას შემდეგ მასპინძლები ალარაფერს ეუბნებოდნენ სტუმარს იმპერატორის შესახებ. ერთმანერთთან ბაასში-კი ჰკვირობდნენ, რომ ამ ქალმა მიუხედავად ღრმა სიბერისა იმოდენი ძალა მოიკრიფა, რომ უარჰყო ფუფუნება და დიდება. „დაბრუნდება თუ არა სასახლეში?—ეკითხებოდნენ თავის თავს.—რა თქმა უნდა, მოხუცს ისევ უყვარს თავისი გაზრდილი. თუ მიატოვა იგი, მხოლოდ იმისთვის რომ ამით გონს მოეყვანა და უარი ეთქმევინებინა ავკაცობაზედ“...

— იმ გვარი მოხუცი, როგორიც იმპერატორი არის, ახალ ცხოვრებას ველარ შეუდგება,—ამბობდა ქმარი.—როგორ უნდა ალმოუფხვრა იმას განუსაზღვრელი ზიზღი ხალხისადმი? ვინ გაბედავდა—მის წინაშე ადამიანისადმი სიყვარული ექადაგა? უამისოდ-კი ყოვლად შეუძლებელია იმპერატორის მორჯულება.

— იმპერატორის მორჯულება მარტო იმას შეუძლიან, უთხრა ცოლმა. ხომ იცი, ვის გეუბნები? ხშირად ვფიქრობ, რა მოხდებოდა, პირისპირ რომ შეჰხვედროდნენ ერთმანეთს ისა და ტიბერი!.. მაგრამ მიუწდომელ არიან გზანი უფლისანი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეტყობოდა, მოხუცი არავითარ ნაკლულევანებას არ გრძნობდა და არც სურვილი ეტყობოდა მეფესთან დაბრუნებისა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალს შვილი ეყოლა, სტუმარი პატარას უვლიდა და ისეთი კმაყოფილება ემჩნეოდა, თითქო მთლად დაივიწყა თავისი მწუხარებაო.

წელიწადში ორჯელ მოხუცებული რომს მიემგზავრებოდა, მაგრამ იქ არავისთან მივიდოდა და პირდაპირ ფორუმისაკენ მიეშურებოდა. შეჩერდებოდა პატარა ტაძართან, რომელიც საუცხოვოდ მორთულის მოედნის ერთ მხარეს ამართულიყო.

ეს ტაძარი წარმოადგენდა დიდს, დაუხურავს, მარმარილოთი დაფენილ ეზოში მოთავსებულ საკურთხეველს. საკურთხეველზე იჯდა ფორტუნა, ღმერთი ბედნიერებისა,— საფეხურთან-კი ტიბერის ქანდაკება იდგა. ეზოს გარეშემო აშენებული იყო ქურუმთა სადგომები, შეშის საწყობები და შეწირულ საქონლისათვის მოსკები.

ფაუსტინა არასოდეს არ გასცილებია ამ ტაძარს, რომელშიც თავს იყრიდა ყველა, ვისაც ტიბერის ბედნიერებისათვის ლოცვა სურდა. შეიხედავდა ტაძარში, დაინახავდა, რომ ღმერთისა და იმპერატორის ქანდაკებანი ყვავილებითაა მორთული, რომ ცეცხლი კვლავ ანთია და საკურთხეველთან მლოცველთა გუნდი იკრიბება, მოისმენდა ქურუმთა წყნარ გალობას და ისევ მთაში მიეშურებოდა.

ამგვარად არავის რას ჰკითხავდა, მაგრამ მაინც იცოდა, რომ ტიბერი ცოცხალია.

როდესაც მოხუცი მესამედ ჩავიდა მთიდან, რაღაც მოულოდნელი ამბავი ნახა. ტაძარს რომ დაუახლოვდა, შენიშნა, რომ იგი მიტოვებული და ცარიელია. აღარც ერთი ლამპარი, აღარც ერთი მლოცველი! საკურთხევლის კიდეზე რამდენიმე გამხმარი გვირგვინი ეკიდა; ეს იყო ნაშთი ძველ მორთულობისა. გაქრნენ ქურუმები, და უპატრონოდ დატოვებული მეფის ქანდაკებაც გაფუჭებული და გამტვერიანებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი პირველსავე მგზავრს შეეკითხა:

— ეს რას ნიშნავს? ნუ თუ ტიბერი მოკვდა? ან იქნება სხვა მეფე გვყავს ეხლა?

— არა,—უპასუხა რომაელმა:— ტიბერი ისევ იმპერატორია, მხოლოდ ჩვენ იმას აღარ ვავედრებთ ღმერთებს. იმას ჩვენი ვედრება ველარაფერს უშველის.

— უკაცრავად, უთხრა მოხუცმა:—მე შორს მთაში ვცხოვრობ. იქ არ ისმის არაფერი, თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე. გაისაჯე და მიამბე, რა უბედურება დაატყდა იმპერატორს?

— საშინელი უბედურება უპასუხა მან:—იგი შეიპყრო სენმა, რომელიც აქამდე არ ყოფილა იტალიაში, მაგრამ, როგორც ამბობენ, აღმოსავლეთისაკენ-კი ჩვეულებრივიაო. იმპერატორს ველარ იცნობ: ხმა მხეცის ღმუილს უგავს, ხელფეხის თითები დაულპა. ამ სენს არავითარი წამალი არა აქვს. ამბობენ, რამდენიმე კვირის შემდეგ მოკვდებაო. რომ არა მოკვდეს, ხელმწიფობაზედ მაინც უარს ათქმევინებენ,— სადღა შეუძლიან უბედურს! ეხლა ხომ გესმის, რომ მის ბედნიერებას ბოლო ეღება. ამაოა ვედრება, რომ ღმერთებმა ბედნიერება მოანიჭონ,—და არც ღირსია,—დაუმატა წყნარი ღიმილით რომაელმა:—დღეს იმპერატორი საშიში აღარავისთვის არის და აღარც თავს ვიწუხებთ მისთვის. თავი დაუკრა და განშორდა; ფაუსტინა-კი მგზავრის სიტყვებით თავზარდაცემული ერთ ადგილას იდგა გაშტერებული.

მთელ თავის სიცოცხლეში დღეს პირველად იგრძნო სიბერისა და წლოვანობის დაღი. წელში მოხრილიყო, თავი უკანკალებდა და ხელებით უღონოდ რაღაცას ეპოტინებოდა ჰაერში.

ჰსურდა მალე გაშორებოდა ამ ადგილს, მაგრამ ფეხები ეკეცებოდნენ და ბარბაცით მიმავალი რასმე საგანს ეძებდა, რომ ზედ დაყრდნობოდა.

ცოტა ხნის აუტანელ ბრძოლის შემდეგ ძალი მოიკრიბა, კვლავ გაიმართა წელში და მტკიცე ნაბიჯით გაიარა ხალხით სავსე ქუჩებში.

*
* *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი კვირის შემდეგ მოხუცი ფაუსტინა კუნძულ კაპრის პიტალო კლდეზე ადიოდა. სიცხე იდგა და სიბერის გულჩამთხრობელმა სისუსტემ და უიმედობამ კვლავ შეიპყრო იგი, სანამ იგი მიხოხავდა დახლაკნილ ბილიკებსა და კლდეში გამოთხრილ, ტიბერის აგარაკისაკენ მიმავალ საფეხურებზე.

ეს გრძნობა მით უფრო ძლიერდებოდა, რომ ყველაფერი გამოცვლილიყო სანამ იგი სხვაგან იყო. წინეთ აქ ყოველთვის ნახავდა კაცი მიმავალ და მომავალ ხალხის ბრბოს. აქ იკრიბებოდნენ სენატორები, რომელნიც ბუმბერაზ ლიდიელებს მოჰყავდათ ხელით; ყველა პროვინციის მმართველები, რომელთაც აურიცხველი მონა ახლდათ თან; თანამდებობის მაძიებელნი და იმპერატორთან ნადიმზე მიპატიჟებული, რჩეული პირები.

ეხლა-კი კიბეები და გასავალი გზები ცარიელი იყო. ერთად ერთი სულიერი არსება, რომელნიც მოხუცს შეხვდა გზაზე მომწვანო ხვლიკი იყო.

უკვირდა, რომ ყოველივე იღუპებოდა. მას შემდეგ, რაც იმპერატორი ავად გახდა, შეიძლება რამდენიმე თვე გასულიყო, მაგრამ მარმარილოს ქვაფენილის ნაპრალებში უკვე ამოსულიყო უვარგისი ბალახი. დიდებული მცენარეები უკვე გამხმარიყვნენ, და ქუჩის ბიჭებს უკვე რამოდენიმე ადგილს გადმოექციათ მოაჯირი. რადგან არავისი რიდი აღარ ჰქონდათ. ამ უადამიანობამ ძლიერ გააკვირვა იგი. თუმცა გარეშე პირთ აკრძალული ჰქონდათ კუნძულზე ყოფნა, მაგრამ მაინც უნდა ყოფილიყვნენ აქ ჯარისკაცები და მონები, მოცეკვავე ქალები და მემუსიკენი, მზარეულები და მსახურები, სასახლის მცველები და მებაღეები, რომელნიც იმპერატორის კარის კაცთ ეკუთვნოდნენ.

სულ ზევით რომ ავიდა მაშინ შენიშნა ფაუსტინამ კიბის თავზედ ჩამომჯდარი ორი ძველი მონა. მონები წამოდგენ და მდაბლად თავი დაუკრეს.

— სალამი შენდამი, ფაუსტინა,—სთქვა ერთმა მათგანმა,—ღმერთებმა მოგავლინეს ჩვენი უბედურების შესამცირებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რას ნიშნავს, მილონ, —იკითხა ფაუსტინამ, ტომ ასე მიტოვებულია აქ ყველაფერი? აკი ტიბერი ჯერ კაპრიზედ არისო.

— იმპერატორმა გარეკა ყველა მონები: ღვინოში საწამლავი შემომაპარეს და ამიტომ ვარ ავადაო. მე და ტიტესაც, დაგვითხოვდა, რომ მას დავმორჩილებოდით. იმას თუ არ ახსოვს. შენ ხომ იცი, რომ მთელი სიცოცხლე იმპერატორს და იმის დედას ვემსახურებოდით!

— მე მარტო მონებს-კი არ ვკითხულობ, —მიუგო ფაუსტინამ, —არა, სად არიან სენატორები, სარდლები, იმპერატორის მახლობელნი, პირმოთნენი და ერთობ სასახლის მესაიდუმლე პირნი?

— ტიბერი აღარავის ეჩვენება —უპასუხა მონამ, —სენატორი ლეუციოსი და მცველთა უმფროსი მაკრონი ყოველ დღე ეახლებიან განკარგულების მოსასმენად. სხვას აღარავის იკარებს.

ფაუსტინა კიბეზე ავიდა. მონა წინ მიუძღოდა.

— ექიმები რას ამბობენ ტიბერის სენის შესახებ?

— არავინ იცის ამ სენის წამალი. ისიც-კი არ იციან მსწრაფლ უსპობს იგი სიცოცხლეს თუ ნელ-ნელა! მაგრამ ეგეც რომ არ იყოს, ფაუსტინა, ტიბერი სიმშილით მოკვდება, წარმოიდგინე ავადმყოფი აღარასა სჭამს, არავინ მომწამლოსო. ან არა და ავადმყოფს სად შეუძლია დღე და ღამე განუწყვეტლივ, იფხიზლოს როგორც ტიბერი შვრება, ძილის დროს არავინ მომკლასო. თუ ინება და შენ მოგენდო, როგორც წინეთ იყო, შესაძლებელია მისი სიცოცხლის გაგრძელება, თუ არა და...

მონამ გაატარა ფაუსტინა მრავალი გზები და გაიყვანა იმ მოედანზე, სადაც ჩვეულებრივ დასეირნობდა ტიბერი და სტკბებოდა ზღვის შვენიერი სურათით და ამაყად ამართულ ვეზუვის მთით.

მოედანზე რომ ავიდა, ფაუსტინამ დაინახა რაღაც საზიზღარი დასიებული არსება. მხეცური გამომეტყველებისა იყო. ხელ-ფეხი შეხვეული ჰქონდა, მაგრამ მაინც მოჩანდნენ იარით ჩამპალი თითები. ტანსაცმელი მტვერში და ტალახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა მოთხვრილი. ეტყობოდა, ფეხზე დგომა არ შეეძლო და იძულებული იყო ფოფხვით ამოსულიყო. თვალ დახუჭული იწვა სრულიად უძრავად. ფაუსტინას ეუცხოვა იმისი იქ ყოფნა და წასჩურჩულა მონას:

„მილონ, როგორ გაბედა ამ კაცმა იმპერატორის ტერრასაზე ამოსვლა? ჩქარა გააბრძანე აქედან...“ არც-კი დაემთავრებინა ეს სიტყვები, რომ დაინახა, რომ მონა დაბლა მიწამდე დაიხარა ამ საბრალო ადამიანის წინაშე და მოახსენა:

— საამური ამბავი მომაქვს, კეისარო!

და ფაუსტინას მიუბრუნდა, მაგრამ განზე გახტა თავზარდაცემული და სიტყვაც ველარ დასძრა:

მონამ ველარ იცნო ამაყი ფაუსტანა, რომელიც ისე მხნედ გამოიცქირებოდა, თითქო უკვდავების წამალი ეჭამოსო. ამ წუთში ფაუსტინა უძლურ მოხუცად ჩანდა, წელში მოხრილ, მოხუცად, ჩამძვრალ თვალებით და აკანკალებულ ხელებით.

მიუხედავად იმისა, რომ ფაუსტინას წინდაწინვე უთხრეს, მეფე საშინლად გამოცვლილი არისო, ერთ წუთსაც ვერ წარმოიდგენდა ასეთ ცვლილებას. გაგონილი ჰქონდა, ის სენი, რომელიც ტიბერის სჭირდა, ნელ-ნელა სცვლის ადამიანსაო, რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ სავსებით დაამახინჯოს ადამიანიო, მაგრამ იმპერატორს ისეთი ძალით მოსდებოდა ჭირი, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში ნახევარ კაცად აქცია.

ბარბაცით მიუახლოვდა ფაუსტინა იმპერატორს. ლაპარაკი არ შეეძლო და ჩუმად ტიროდა ტიბერის გვერდით.

— ძლივს მოხველ, ფაუსტინა,—თვალ გაუხელად წარმოსთქვა მან,—ვიწექი და სულ ის მელანდებოდა, ვითომ აქ დგეხარ და ზედ დამტირი. ვერ გამიბედნია შემოგხედო, მეშინია ჩემი ავადმყოფი წარმოდგენის ნაყოფი არ იყოს შენი აქ ყოფნა. მოხუცი გვერდით მოუჯდა. თავი აუწია და მკერდზე მიიხუტა.

მაგრამ ტიბერი ისევ წყნარად იწვა და არ შეუხედავს ფაუსტინასთვის. რალაც სიმშვიდემ მოიცვა იგი და მაშინვე წყნარად დაიძინა.

პავ. დ— ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს

ახტანგ მეხუთის სიკვდილის შემდეგ შაჰ-სულეიმან ყაენმა წინადადება მისცა ერეკლე ბატონიშვილს ქართლისა და კახეთის მეფობას მოგცემ, თუ გამაჰმადიანდებიო. ერეკლე ბატონიშვილმა არ მიიღო მაჰმადიანობა და ამიტომ ყაენი იძულებული იყო ტახტი მიეცა ვახტანგის კანონიერის მემკვიდრისთვის ისევ იმ პირობით, რომ მაჰმადიანობა მიელო. გიორგი ბატონიშვილი იმ შიშით, რომ ყაენს სხვა არავინ დაემტკიცებინა ქართლის მეფედ, წავიდა სპარსეთს, მიიღო მაჰმადიანობა და იწოდა შაჰნავაზად (1675 წ.).

რაკი ერეკლე ბატონიშვილმა არ მიიღო მაჰმადიანობა, არც კახეთის მეფობა მისცა ყაენმა. ამ ქვეყნის გამგებლად ყაენმა დანიშნა გამაჰმადიანებული რევაზ ჩოლაყაშვილი. ორის წლის შემდეგ (1677 წ.) ჩოლაყაშვილის ნაცვლად დააყენა ბეჟან-ხანი, რომლის გამგებლობამ გასტანა 1683 წლამდე. კახელებს ბეჟან-ხანი ძალიან ცუდად ეკიდებოდა და ამიტომ თავი შეაძულა, ასე რომ მისი მოკვლაც-კი განიძრახეს და ისიც იძულებული შეექნა კახეთისთვის თავი დაენებებინა. მის შემდეგ ყაენმა დანიშნა კახეთის გამგებლად გორჯასპი კახაბერიშვილი.

არჩილის მეცადინეობა, რომ იმერეთში ხელახლად გამეფებულიყო, გათავდა მით, რომ 1678 წ. იმერეთის დიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულები გაუდგენ ბაგრატ მეფეს და მიიწვიეს არჩილი. ბაგ-
ჩილმა სკანდის ციხეში შეიპყრო ბაგრატის მეუღლე თამარი
და გადასცა მის ნაქმრევს ლევან დადიანს. თვით ბაგრატმა-კი
თავი შეაფარა გურიაში თავის სიძეს გიორგი გურიელს. ამათ
საჩივარი გაუგზავნეს ხონთქარს, რომელმაც უბრძანა არზრუ-
მის ფაშას, რომ გაედევნა იმერეთითგან არჩილი. ამას გარდა
ხონთქარმა მოსთხოვა ყაენს, რომ დაებარებინა იმერეთითგან
თავისი ქვეშევრდომი არჩილი. ოსმალეთის ჯარი რომ შევი-
და იმერეთს, დიდებულები გაუდგენ არჩილს და ესეც იძუ-
ლებული შეიქნა გაქცეულიყო რაჭას. იმერეთში ოსმალებმა
გაამეფეს ისევ ბაგრატი. ბაგრატმა ყოვლის ულწინარეს გაგზავნა
ჯარი გურიელის წინამძღოლობით ლევან დადიანის წინააღმ-
დეგ და დაიბრუნა თამარ დედოფალი (1679 წ.).

არჩილ მეფე რაჭითგან გადავიდა ქართლს. ამ დროს გიორგი
მეფეს მოუვიდა ბძანება ყაენისგან, რომ ან შეეპყრა არჩილი
და გაეგზავნა მასთან, ან გაედევნა ქართლითგან. როდესაც
არჩილმა შეიტყო ყაენის ასეთი ბრძანება, ქართლითგან ოსეთს
წავიდა, საითგანაც სცადა იმერეთს შესვლა, მაგრამ ეს ვერ
მოახერხა და წავიდა რუსეთს (1681 წ.).

ამავე წელს მოკვდა ბაგრატ მეფე და იმერეთის ტახტი
დაიჭირა მისმა სიძემ და შვილობილმა გიორგი გურიელმა,
რომელმაც გაიხსენა თავისი ძველი ტრფიალი, მიატოვა თავის
ცოლი დარეჯანი და შეირთო თამარ დედოფალი. იმერეთის
ტახტის დაჭერასთან ერთად გურიელმა მოინდომა ოდიშიც
თავის სამფლობელოდ გაეხადნა. ამ აზრით მან მოაკვლევინა
მასთან მყოფი ლევან დადიანის მემკვიდრე მანუჩარი და გაი-
ლაშქრა ოდიშის დასაჭერად (1681 წ.). მაგრამ თავისი აზრი
ვერ გაახორციელა, რადგან ოდიშარებმა (მეგრელებმა) არ
ინდომეს ისა. გიორგი გურიელი არ ინდომეს არც იმერლებმა
და მიმართეს ოსმალეთის ხონთქარს, რომ გაემეფებინა ბაგრატ
მეფის შვილი ალექსანდრე. ხონთქრის ბრძანებით ახალციხის
ფაშა უსუფი შევიდა იმერეთს და გაამეფა ალექსანდრე, ხოლო
ოდიშის მთავრად დასვა ლევან დადიანის შვილი ლევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1683 წ.). გიორგი გურიელმა მეორე წელს სცადა ხელახლა ლად დაეჭირა იმერეთი და შეესია გურიითგან იმერეთს. მან მიემართა რაჭის ერისთავი შოშიტა. ამ ლაშქრობის დროს მოკლულ იქნენ გიორგი გურიელი და შოშიტა ერისთავი და გამარჯვებულმა მეფე ალექსანდრემ გურიის მთავრად დააყენა გიორგის ძმა მალაქია. ალექსანდრემ მოინდომა დაემორჩილებინა აგრეთვე რაჭის ერისთავი პაპუნა, რომელიც თავის მამის შოშიტას მსგავსად არ ემორჩილებოდა მას. მეფე რომ რაჭას შევიდა, პაპუნამ შემწეობა სთხოვა ქართლის მეფეს გიორგის. გიორგი მეფემ მიაშველა ჯარი. ამის გამო ალექსანდრე უკან დაბრუნდა და გაგზავნა მოციქული ყაენთან გიორგი მეფეზე საჩივლელად. ასეთი მოციქულობა საწყენად დარჩა გიორგის და მით უმტრო ალექსანდრე მეფეს, რომ შეატყობინა მისგან მოციქულის გაგზავნა ყაენთან ახალციხის ფაშას. უკანასკნელმა შეიპყრო სპარსეთით უკან დაბრუნებული ალექსანდრეს მოციქული და ჩამოახრჩობინა. როგორც ხონთქრის მოლალატე. ყაენმა რომ ეს ამბავი შეიტყო, გიორგი მეფეზე ძალიან გარისხდა.

ამნაირად გიორგი მეფემ გადაიმტერა იმერეთის მეფე და გაიწყრომა ყაენი. კახეთის გამგებელიც კრიჭაში უდგა და ყველაფერს მის შესახებ ყაენს ატყობინებდა. თავისთვის შემწის და მოკეთის გასაჩენად გიორგი მეფემ ახლა მეცადინეობა დაიწყო, რომ მისი ძმა ხელახლად გამეფებულიყო ან იმერეთში ან კახეთში. ამიტომ გაგზავნა (1687 წ.) რუსეთს კაცები და სთხოვა ხელმწიფეებს იოანეს და პეტრეს, რომ გაეშვათ არჩილი საქართველოში და შემწეობა ამოეჩინათ მისთვის. ეს ამბავი შეიტყო ყაენმა და, რასაკვირველია, უფრო მეტად გაწყრა გიორგი მეფეზე. მის მორჩილობის უზრუნველსაყოფელად ყაენმა მოსთხოვა მეფეს, რომ გაეგზავნა მასთან შვილი ბაგრატი. გიორგიმ შვილის გაგზავნაზე უარი შეუთვალა. მაშინ ყაენმა შვილის გარდა მოსთხოვა, რომ ძმა ლევანიც გაეგზავნა. გიორგი მეფემ დაინახა, რომ ყაენი არ იშლიდა თავისას და გადაწყვიტა მოულოდნელად შესულიყო კახეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ქვეყანა დაეჭირა, რომ, თუ ვინიცობაა, ყაენი გამოილაშქრებდა, ქართლელები და კახელები ერთად ყოფილიყვნენ. კახელებიც თითონ თანახმანი იყვნენ ამისი. გიორგი მეფემ შეკრიბა ჯარი და ვითომ გასაცილებლად გაჰყვა ბაგრატსა და ლევანს ყურყუთამდე. აქეთგან გიორგი აპირებდა უცებ შესვლას კახეთს და სპარსელების გადევნას იქითგან. ეს განძრახვა მეფეს ვერ შეუსრულდა, ოადგან კახეთის ხანმა ყველაფერი შეიტყო წინდაწინვე და მოემზადა. ამის შემდეგ გიორგი მეფემ ხელი აიღო თავის განზრახვაზე და გაისტუმრა ყაენთან შვილი და ძმა.

კახეთის ხანმა ყველაფერი აცნობა ყაენს და ამანაც ქართლის მეფობა ახლა მისცა ერეკლე ბატონიშვილს, ხოლო მასთან ისპაანს ჩასული ბაგრატი და ლევანი, ისე როგორც წინათვე იქ მყოფი გიორგი მეფის ძმა ლუარსაბი გაგზავნა სხვა ქალაქებში, როგორც შეპყრობილები (1688). ერეკლე მეფემ, რომელიც ათის წლის წინათვე გამაჰმადიანდა და წოდებულ იქნა ნაზარალიხანად, თავის მოადგილედ (ანუ ჯანიშინად) ქართლში, ვიდრე თითონ მოვიდოდა, დანიშნა თამაზ ყაფანიშვილი. ამ დროს გიორგი მეფე იყო არაგვის ხეობაში, სადაც მან გაილაშქრა ერისთავის წინააღმდეგ რომელიც ეურჩებოდა მას. თამაზ ყაფლანიშვილმა მეფის არაგვის ხეობაში ყოფნის დროს დაიჭირა ტფილისის ციხე და ქალაქი. ამის შემტყობმა გიორგი მეფემ მიანება თავი არაგვს და დაბრუნდა უკან, კოჯორში მყოფი თავის ცოლშვილი აჰყარა და წაიყვანა ზემო ქართლს, ხოლო იქითგან გადავიდა რაჭას ჰაპუნა ერისთავთან. თუმცა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ აუკრძალა ჰაპუნა ერისთავს გიორგი მეფის მიღება და კიდეც შევიდა რაჭაში ჯარით, მაგრამ ერისთავმა არ შეასრულა მის მოთხოვნილება და გამაგრდა გიორგი მეფითუთრ ჯერონში, შემდეგ გლოლაში.

ამავე წელს მოვიდა ქართლს ერეკლე მეფე. ქართლელებს, არ უნდოდათ ერეკლეს მეფობა. ამას ხედავდა იგი და არც თითონ ენდობოდა ქართლელებს. ის უფრო კახეთისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიცქირებოდა და იმისთვის ზრუნავდა, რადგან კახეთსაც უნდოდათ მისი გამეფება და ერეკლესაც ამის იმედი ჰქონდა. თავის მცველებად ყაენს გამოსთხოვა თუშები და ქიზიყელები. ვერც თავის მოქმედებით მოიგო ერეკლემ ქართლელების გული. საზოგადოდ რუსეთსა და სპარსეთს გაზრდილი ქართულს ზნეს, ჩვეულებას და სახელმწიფო წესებს არ მისდევდა. მოსვლისთანავე გამოცვალა უმაღლესი მოხელეები და კათოლიკოზ-ეპისკოპოზები და მათ ადგილს დანიშნა ან გიორგი მეფის პირადი მტრები ან კახელები. სპარსელი მეციხოვნეები ახლა უფრო თავისუფლად იქცევოდენ და თავიანთ თავნებობით აწუხებდნენ ხალხს. ქართლის წარჩინებული წოდება დაჩაგრულად სთვლიდა თავის თავს, ხოლო ხალხი რჩებოდა ქართლითგან კახეთს გადასახლებას, რადგან იქ უფრო გაუჭირებლად ცხოვრობდენ. ამის გამო ქართლელებმა შეუთვალეს გიორგი მეფეს, იმ დროს ახალციხეში მყოფს, რომ მისულიყო და დაეჭირა ქართლი. გიორგი მეფე ამ მიწვევის შემდეგ გადმოვიდა ქართლს და გარდა თითო-ოროლა თავადისა, ყველასაგან მიღებულ იქნა (1691 წ.)

მეფე ერეკლე გამაგრდა ტფილისის ციხეში. გიორგი მეფე-კი დადგა თავის ჯარით კოჯორზე და ცდილობდა ტფილისის აღებას. 1692 წ. ქართლელებმა გაგზავნეს ახლად გაყაენებულს შაჰ-სულთან უსეინთან კაცი და სთხოვეს, რომ გიორგი ეცნო ქართლის მეფედ, მაგრამ ყაენმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა და ამ ნაირად ქართლში შეიქნა ორი მეფე, რომელნიც ერთმანერთს ებრძოდენ. მართალია, მთელი ქართლი გიორგის მხარეზე იყო, მაგრამ ამან ვერა დააკლო-რა ერეკლეს, რომელიც დამყარებული იყო სპარსთა ჯარზე და ტფილისის მაგარს ციხეში იყო გამაგრებული. ამას გარდა მას შველოდენ კახეთის გამგებლები ჯერ აბაზ-ყული-ხანი, შემდეგ ქალბალი-ხანი, და იმერეთის მეფე ალექსანდრე. ასეთმა მდგომარეობამ მოლალა თვით გიორგი მეფის მომხრეები, რომლებიც ძალაუნებურად დაემორჩილნენ ერეკლეს. გიორგი მეფე იძულებული შეიქნა თავი მიენებებინა ქართლისთვის და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასულიყო იმერეთს, სადაც გამეფდა ხელახლად (1695 წ.). იმერეთში გიორგი მეფე დარჩა ერთს წელიწადს და ელოდა შესაფერს გარემოებას, რომ დაბრუნებულიყო ქართლს. მაგრამ ასეთი გარემოება არ გაჩნდა და გიორგიმ გადაწყვიტა ქართლის მეფობის დასაბრუნებლად წასულიყო პირადად ყაენთან. ყაენმა რომ შეიტყო გიორგის სურვილი, გამოგზავნა კაცი გზაში სახლებლად—მეჰმანდარი—და მოსწერა ერეკლე მეფეს, რომ თავისუფლად გაეტარებინა ქართლზე (1696 წ.). გიორგი მეფე მოვიდა ყაენთან ისპაანს 1697 წ. მარტში.

დ. კარიჭაშვილი

(შემდეგი იქნება.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოტანიკური საუბარი

(გაგრძელება)

თ ე ს ლ ი

ე თესლით მრავლდება. მინამდისინ თესლი დედა ხეს მოშორდება ათას ფათერაკს განიცდის, რადგან მრავალი მტერი ჰყავს. თესლი ძალიან გემრიელ და ნოყიერ საჭმელს შეადგენს ფრინველისათვის და წვრილ-ფეხა ცხოველებისათვის, როგორც, მაგალითად, ციყვია. თავის თესლის დასაფარავად ხე სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობს; ხშირად თესლს გარშემო ხორციანი კანი არტყია, რომელშიაც გროვდება შხამი, ან მწარე წვენი.

როცა თესლი შემოვა, ნაყოფიც*) დამწიფდება; ესე იგი ის შხამი, რომელიც ამ მკვახე ნაყოფში იყო და თესლს იფარავდა, ჰკარგავს თავის ძალას და იცვლება ტკბილ შაქრად, რომ სიტკბოებით მიიზიდოს თავისი წინანდელი მტრები — ფრინველი და ცხოველი. ეს უკანასკნელნი ეხლა დიდი მეგობრები არიან თესლისა, და იმათ საშუალებით იპოვნის თესლი თავის საცხოვრებელ ბინას. ზოგჯერ შხამიანი, უგემური კანი ნაყოფისა დამწიფების დროს სკდება და თავისუფლდება თესლი; ყველას უნახავს კაკლის წენგო, რომელიც სკდება მხოლოდ მაშინ, როცა კაკალი შემოსულია და დასა-

*) ნაყოფს ვეძახით თესლს, შემორტყმულს ხორციან კანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესად მზად არის. წაბლი, წიფელი და მრავალი სხვა ხე თავის ნორჩ თესლს ისეთი ეკლით ჰფარავს, რომ ფრინველი ახლო ვერ მიუდგება ვიდრე თესლი არ შემოვა და არ მოიხსნის თავის ფარ-ხმალს.



სურათი 2.

სურათი № 2 წარმოადგენს წაბლის ყვავილს და ნაყოფს. ამ სურათზედ (4) აღნიშნული არიან ეკლიანი ბუდეები, რომლებშიაც წაბლის თესლი არის ხოლმე გახვეული.

სურათი № 3 წარმოადგენს (1 და 2) წიფლის ეკლიან ბუდეს, რომელშიაც წიფლის თესლია გახვეული, აქვე ვხედამთ (4) წიფლის დედალ ყვავილს და (3) წიფლის თესლს შუაზედ გადაჭრილს. გრძელი ბალის და ალუბლის კურწი ძალიან შველის ნაყოფს სხვა-და-სხვა მწერის მოგერებაში. ამ გრძელი კურწის წყალობით ყურბელა და ლოკოკინა ვერას აკლებენ ბალისა და ალუბალის კანს. ეს გემრიელი კანი დანიშნულია ფრინველთათვის და მათ საშუალებით ვრცელდება ამ ხეების თესლი. ვთქვათ, თესლი მზად არის. საჭიროა, რაც შეიძლება შორს წავიდეს, მოშორდეს დედა-ხეს, რადგან დედის კალთის ქვეშ ვერ იბოგინებს, დედა-ხე თავის გადაშლილ ტოტებით და ფოთლებით დასჩაგრავს, დასჩრდილავს ნორჩ მცენარეს და უსინათლოდ-კი როგორც ვიცით, ის ვერ გაიზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მიზანი, რისთვისაც ხეები თავის თესლს შორს გზავნიან, არის თვისება ყოველივე სულდგმულისა და მცენარისაც:

სურათი 2.

რაც შეიძლება ფართო და ახალი ალაგი დაიჭირონ თავის ჩამომავლობით (потомствомъ) რომ რაც შეიძლება მომეტებულად გამრავლდნენ.

გავსინჯოთ, რა საშუალებას ხმარობენ ხეები, რომ მოუპოვონ ახალი ადგილი მოშორებული ბინა თავის ჩამომავლობას.

ეს საშუალება ორ ნაირია: ქარი და ცხოველები. პირველი საშუალება ხეებისთვის ძალიან ხელსაყრელია, რადგანაც ამართულნი არიან მაღლა საქაროზედ, მათი ტოტები სულ ქარს ებრძვიან, და რასაკვირველია ქარს მისცემენ თავის თესლს გასავრცელებლად. ის თესლი რომელიც ქარის საშუალებით შორდება დედა ხეს და შორს გადადის, ადვილი საცნობი არის, რადგან სუმბუქია და ფრთებით, შემოსილი; ამ ფრთების საშუალებით თესლი ნელნელა ეშვება მიწაზედ და თან ტრიალებს, მინამდის მიწაზედ



სურათი 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშვება, არამც თუ ქარი, სულ მცირე სიოც-კი აიტაცებს და შორს გადიტანს.

შენიშნულა, რო თესლი შორდება დედა ხეს იმ დროს, როცა დიდი ქარი ქრის და რამდენიმე ვერსის სიშორეზედ გადაქვს ხეების თესლი. ქარის საშუალებით გადადის ახალ ალაგას შემდეგი ხის თესლი: ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, თელისა, რცხილისა, ცაცხვისა, ნაკერჩხალისა და სხვ.

სურათი № 4 წარმოადგენს: A, B, C. . სხვა და სხვა ნაკერჩხლის ფრთიან თესლს.

სურათი 4.

თესლიდან ამოსული ნორჩი მცენარე, მინამდის თავის ფესვებს და ფოთლებს შეიძენს, საზრდოობს იმ მასალით, რომელიც შეგროვდა თესლში იმ დროს, როცა თესლი ჯერ კიდევ დედა-ხეზედ იმყოფებოდა. რასაკვირველია, ძალიან საჭიროა, რომ ეს პირველ საკვებავი მასალა ბევრი ჰქონდეს თესლს, რომ ახალგაზრდა მცენარეს, ყოველ შემთხვევაში, თუ რამე დაუბრკოლებს ფესვების გადგმას, ნორჩ ან ფოთოლს მოუჭამს რამე, შეეძლოს დიდი ხანი გასძლოს იმ მასალით, რომელიც დედისგან შეიძინა.

მეორე მხრივ ბევრი მასალის მოგროვება ძალიან დაამძიმებდა თესლს და ეს გარემოება დაუშლიდა მას შორს გადაფრენას. ის მასალა, რომელიც გროვდება თესლის პირველ საკვებავად, შესდგება ხოლმე ზეთისგან, ან სახამებლისგან. გამოკვლეულია, რომ ერთი ზეთი შეიცავამს უფრო მეტ ნოყიერ და საკვებავ მასალას, ვიდრე იმავე წონის სახამებელი. აი, ამ უფრო ნოყიერ და საკვებავ მასალით სტვირთავს ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თესლს, რომ არ დამძიმდეს იგი შორ გზაში. აქ ზრუნავს თავის თესლისათვის, როგორადაც თავის მოსიყვარულე დედა თავის ძვირფასს შვილისთვის. უფრო მეტს ინტერესს წარმოადგენს იმისი გასინჯვა, როგორ სთესავს თავის თესლს ცხოველების საშვალებით. ხორციან კანს, რომელიც არტყია თესლს, სჭამს ფრინველი და თან ყლაპავს თესლსაც. ამ თესლს მაგარი კანი აკრავს, ისე რომ ფრინველის კუჭში იგი არ ჰკარგავს თავის აღმოცენების ძალას. მეცნიერმა კერნერმა დაამტკიცა, რომ ფრინველის კუჭში თესლი 1/2 საათამდე რჩება და ამ დროში მისი მონელება შეუძლებელია. ამ ნახევარ საათში ფრინველს შეუძლიან ძალიან შორს გადაიტანოს თესლი. ამ ნაირად მრავლდება ბალი, თუთა, ვაშლი, მსხალი, კვრინჩხი, კუნელი და მრავალი სხვა ხე და ბუჩქი, რომლის თესლს ახვევია ხორციანი კანი. ხისთვის ძალიან საზარალო იქნებოდა, რომ ფრინველმა მკვახე ნაყოფს დაუწყოს ჭამა, როცა თესლი ჯერ დასათესად არ ვარგა. ამიტომ მკვახე ნაყოფი მწვანეა, ფოთლის ფერი და ძლივს ირჩევა ფოთლისგან; ამასთან არც გემოთია კარგი. რაკი ნაყოფი დამწიფდება, იგი წითლდება, შავდება, ან ყვითლდება, რომ მიიზიდოს ფრინველის ყურადღება. ამას არ კმარობს ნაყოფი; და რო დამწიფდება, მშვენიერს სუნს უშვებს და მასთან გემრიელდება ტკბება. ამერიკაში არის ერთნაირი კუნელი, რომელიც შემოსილია გრძელი ეკლით ისე, რომ ამ ხეზედ ასვლა სრულიად შეუძლებელია, არამც თუ კაცისთვის, თვით გარეულ კატისათვისაც-კი რადგანაც ეს გრძელი და ხშირი ეკალი ქვეით არის დაშვებული. ამტკიცებენ (კერნერი) ეს ხე შეიარაღებულია ეკლით იმისთვის, რომ ზედ გარეული კატები არ აუშვას, რომელნიც ფრინველებზედ ნადირობენ და ბუდეს უშლიანო.

სოლ. ქურდიანი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-მიწის აღსარება

საუბარი დედამიწაზედ ცხოვრების წარმოშობის შესახებ.

ბოტანიკურული გეოლოგია და პალეონტოლოგია

(ბიტნერიდან)

I როგორ გაჩნდა დედა-მიწა.

ეჭველია, ყველა გონიერი ადამიანი არა ერთხელ დაფიქრდებოდა და მისცემდა თავის თავს კითხვებს, როგორ გაჩნდა დედა-მიწა, ან საიდან გაჩნდნენ დედა-მიწაზედ უთვალავი ქმნილებანი და თვით ადამიანიც. მაგრამ პასუხიმა კითხვებზე ყველასათვის საადვილო არ იყო, თვით მეცნიერებიც დიდ ხანს ფიქრობდნენ ამ დიდებული ამოცანის განმარტების შესახებ. ან როგორ უნდა გაეგოთ ის, რაც არც ერთს სულიერს არ უნახავს და არც შეეძლო ენახა?

მაგრამ მეცნიერები მაინც თავისას არ იშლიდნენ და ბოლოს კიდეც მიაღწიეს საწადელს. იმათ ააღაპარაკეს ყველაფრის მოწამე ჩვენი დედა-მიწა. მაგრამ მისი მუნჯური აღსარება ყველასთვის ადვილი გასაგები არ იყო, საჭირო იყო დიდი ხნის სწავლა დაკვირვება, რომ ნათლად გამოერკვიათ დედა-მიწის დიდებული საიდუმლოება. ეხლა-კი ჩვენ ისე ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ეს საიდუმლოება, იმდენი სამეცნიერო წიგნებია დაწერილი ამის შესახებ, რომ შეგვიძლიან ეს საიდუმლოება ვამცნოთ ჩვენს მოზრდილ მკითხველებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მონადირე ტყეში წააწყდება ნადირის კვალს, დამტვრეულს შტოებს, ან სხვა ნიშნებს, ადვილად მიხვდება თუ რომელ მხეცს გაუვლია იმ გზაზე და უთვალთვალებს მას. აგრეთვე მეცნიერებსაც, როცა იგი სთხრის მიწას, ან ათვალიერებს ჩამომტვრეულ შრეებს, მდინარეებისა და მთის ნაკადულების ჩამონარეცხს ადგილებს, ან პოულობს მიწაში წარღვნის წინა დროის ცხოველების გაქვავებულს ძვლებს, ანუ ქვად ნაქცევს ხეების ტანს, რომელნიც რამდენიმე მილიონის წლის წინად ხარობდა, სხვა და სხვა მწერებისა და თევზების ნაშთებს, გამაგრებულს თიხაზედ აღბეჭდილებს და სხ. შეუძლიან ამ ნაკვალევის მიხედვით გამოიცნოს დედა-მიწის ყოველი მცხოვრების წარსულიც. ვიტყვი მეტსაც, როგორც მონადირეს, ნადირის კვალის სისხლის მიხედვით, შეუძლიან სთქვას, დიდი ხანია თუ არა, რაც ნადირს გაუვლია. აგრეთვე მეცნიერსაც შეუძლიან დედა მიწის ყოველი შრის ხნოვანობის განმარტება.

თუ როგორ ხდება ეს, ამის შესახებ ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამისათვის ძრიელ ბევრი საშუალება არსებობს, მაგალითისათვის მოვიყვანთ უფრო ადვილად მისახვედრ საშუალებას. თუ შეძლება გვაქვს დავუკვირდეთ მდინარის ჩასართავს, რომელიც ყოველ წლობით სტოვებს ორი ფუტის სისქის შლამის შრეს, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ოცი ფუტის სიღრმეზე მიწის შრე მოეფინებოდა ათის წლის წინად, ხოლო ორმოცდაათი წლის შრე იქნება ასი ფუტის სიღრმეზე და სხვ. მეცნიერებაში, რასაკვირველია, არის ბევრი სხვა უფრო ნამდვილი საშუალებაც იმის გამოსაკვლევად თუ როდის უცხოვრია ამა თუ იმ არსებას, რომლის ნაშთსაც შევხვდები ხანდისხან მიწის ძალიან ღრმა შრეებში. ამ ჟამად ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ როგორ წაიკითხეს მეცნიერებმა პირველი უძნელესი გვერდი ჩვენი დედამიწის ისტორიისა. გადავცემთ მკითხველებს მხოლოდ მოკლე შინაარსს იმ გვერდებისას, რომელზედაც დაბეჭდილია დედა მიწის აღსარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებას, რომელიც იკვლევს დედამიწის შრეებს, მის ისტორიას, ეწოდება **გეოლოგია** (ბერძნული სიტყვაა— ნიშნავს სწავლას მიწის შესახებ). ამას შველის მეორე მეცნიერება **პალეონტოლოგია**, რომელიც იკვლევს დიდი ხნის დახოცილ ცხოველების და მცენარეთა ნაშთებს, რომლებიც შენახულია დედა-მიწაში, ან გაქვავებულად და ან აღნაბეჭდის სახით. ამ ნაშთებზე პალეონტოლოგები იკვლევენ დედამიწის ყოფილს მცხოვრებლებს, განსაზღვრავენ ცხოველისა და მცენარეთა გარეგანს სახეს, მათ საკვებ მასალას, ზნე ჩვეულებას, ხასიათს და სხვ. თუ რა სინამდვილემდის აღწევს ამ შემთხვევაში მეცნიერება, შეგვიძლიან განვსაჯოთ იმითაც, რომ ხშირად მეცნიერებს ამისთანა დასკვნა შეუდგენიათ ისეთს ცხოველზე, რომლის კბილი უპოვიათ მხოლოდ. ეს დასკვნა შემდეგში შეუცდომლადაც დამტკიცებულა. რასაკვირველია, გეოლოგებს რომ საკმაოდ სარწმუნო და სწორი აზრი შეედგინათ დედამიწის წარსულზე საჭირო იყო დახმარება სხვა და სხვა სწავლულებისა, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ ცოდნით ბევრ სხვა და სხვა მეცნიერების დარგიდან და არა ემუშავნათ მხოლოდ გეოლოგებს და პალეონტოლოგებს, მაგრამ ამ მეცნიერების ჩამოთვლით თავს არ მოვაწყენთ მკითხველებს და პირდაპირ გადავდივართ იმის მოთხრობაზე, თუ როგორ გაჩნდა დედა-მიწა.

№ 1. პირველყოფილი არეულობა (ხაოსი), რომლიდანაც ჩნდება ბოლოს ქვეყნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გვასწავლის ჩვენ ვარსკვლავთ მრიცხველობა, ასტრონომია, მეცნიერება ცისა და ციურმნათობთა შესახებ.

თავდაპირველად ყველგან იყო არეულობა ე. ი. ყველაფერი ნისლის მსგავს ნივთიერებით იყო მოცული. არ ყოფილა არც დედამიწა, არც მზე და არც ვარსკვლავები. ეს ნისლი თანდათან ადგილ-ადგილ შესქელდა, დამრგვალდა. იმის ნაწილები ერთმანეთს ეხახუნებოდა და ამის გამო ჩნდებოდა სითბო (როგორც ეს ხდება ყოველთვის, როდესაც ერთი სხეული მეორეს მიეხლება), ადგილ-ადგილ ტრიალსაც იწყებდა. აძგვარ ტრიალს ანუ წყლის ბრუნვას ხშირად შევნიშნავთ მდინარეში, როდესაც წყალი მიეხეთქება კლდეს ან ქვებს. იმ ადგილებში, სადაც ეს ნისლი უფრო სქელდებოდა, მისი ტრიალი და სითბოც თანდათან მატულობდა, სიჩქარით ტრიალის გამო ჩნდებოდნენ რგოლები, რომლებიც ხანდახან, ჩქარა ტრიალის გამო, სწყდებოდნენ; ჩნდებოდა ახალ-ახალი ბურთები, ან რგოლები. ყველა ეს განაგრძობდა უფრო სწრაფად ტრიალს, ცალკე ბურთები უფრო და უფრო სქელდებოდნენ, ამასთან ერთად ის ნივთიერება, რომლისგანაც შესდგება ჩვენი მზე, ვარსკვლავები, მთვარე და თვითონ დედამიწაც, ცივ და თხელ მდგომარეობიდან გადავიდა გახურებულ ჰაერგვარ მდგომარეობაში, შემდეგ იქცა გაცხელებულ თხელ მასად, დამდნარი შუშისა ან ლითონის მსგავსად. ამგვარი ნისლები, რომელნიც შესდგებიან გახურებულ ჰაერგვარისგან და რომელების შუა დაცურავენ სქელი გაცხელებული თხელი ბურთები ან რგოლები, ჩვენ შეგვიძლიან შევნიშნოთ ცაზე თუ გავხედავთ **ჯოგრში** (ტელესკოპში) ესე იგი დიდს გასაჭვრეტ მილში. აქ მოყვანილ სურათზე (იხ. სურ. № 1) მკითხველი დაინახავს როგორ მოსჩანან ცაზე ნისლები, რომლიდგანაც ბოლოს შენივთდებიან სამყაროები და, რომელთან შედარებით, ჩვენი დედამიწა, მზე, მთვარე და სხვა ვარსკვლავები ერთად აღებული ნი უმნიშვნელო წერტილებად გვეჩვენება.

კარგად რომ დავუკვირდეთ ამ ნისლებს ადვილად შევნიშნავთ, რომ ისინი ძრიელ მოგვაგონებენ აქ დახატულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათს ზემოთ მოხსენებულის სამყაროს გაჩენის შესახებ. ნისლების კერძო ნაწილები ტრიალებენ შუაგული ადგილის ან ცენტრის გარშემო, თითქოს რაღაც ბუმბერაზ ძალას მოუყვანია იგი მოძრაობაში. ყველა ეს ბურთები ტრიალებენ საზოგადო შუაგულ წერტილის ან ცენტრის გარშემო და ამასთან თითონაც ტრიალებენ თავიანთ ღერძის გარშემო.

სურათი № 2. მზის გარშემო მოტრიალე ცოცხალების წრე (ორბიტა)

ასე მოხდა ჩვენს სამყაროშიაც. პირველყოფილ უფორმო ნისლებიდან იგი გადიქცა ვეებერთელა ბურთად, რომლის ზოგიერთი სქელი ნაწილები პატარა ბურთებისა და რგოლების მსგავსად, იწყებდნენ ტრიალს უფრო სქელ შუა გულის გარშემო: ეს იყო მზის გაჩენის დრო. თანდათან ბურთებიდ რგოლები შეერთდებოდნენ უფრო მოდიდო ბურთებად ან პირიქით, დანაწილდებოდნენ პატარ პატარა ბურთებად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ტრიალებდნენ დიდი ბურთების გარშემო: ამნაირად გაჩნდნენ თანამგზავრი **ცთომილები** (პლანეტები) მსგავსად ჩვენი მთვარისა, რომელიც ტრიალებს ჩვენი დედა-მიწის გარშემო და ეს უკანასკნელიც—მზის გარშემო. დანარჩენი **ცთომილები ჩვენი მზის სისტემისა** (ასე იწოდება ჩვენი სამყარო, რომელიც შესდგება მზისა და ქვემოთ მოყვანილ თანამგზავრ ცდომილებისგან) განაგრძობდნენ ტრიალს მზის გარშემო, ამასთან ზოგიერთი რგოლები, რომელიც გარს ერტყა ამ ცთომილებს, დაიშალა და დანაწილდა ცალკე თანამგზავრებად და ბოლოს ეს რგოლი შერჩა მხოლოდ ერთად ერთს ცთომილს, რომელსაც ჰქვიან **ზოჰალი**, (**სატურნი**), მაგრამ ეს რგოლიც, როგორც ეხლა ცნობილია, დაყოფილია მრავალ პატარ-პატარა ნაწილებად, რომელნიც ტრიალებენ ზოჰალის გარშემო.

ამ ბოლო დროს მზის სისტემას შეადგენს შემდეგი რვა დიდი **ცთომილი** ანუ პლანეტი: **აფროდიტი** ანუ **მერკური** ძლიერ დაახლოვებულია მზესთან, შემდეგ მოჰყვება **ერმი** ანუ ვენერა. ბოლოს ჩვენი **დედა-მიწა**, ამის შემდეგ არის **არია** ანუ მარსი, შემდეგ **მუშთა რი(დია)** ანუ იუპიტერი (ყველა ცდომილებზე უფრო დიდია), **ზოჰალი** (სატურნა) **ურანი** და ბოლოს **ნეპტუნი.**

სურ. № 3. ცვენილ ვარსკვლავების დიდი წვიმა, ერთხელ ნახული ზღვაზე.

ცთომილების მომეტებულ ნაწილს ჰყვანან თანამგზავრები, რომლებიც ამ ცთომილების გარშემო ტრია-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებენ, როგორც მაგალითად მთვარე დედამიწის გარშემო. მაგრამ დიდი ცთომილებისა და მათი თანა მგზავრების გარდა სამყაროს სივრცეში, რომელიც უჭირავს მზის სისტემას, არიან კიდევ ასეულობით პატარ-პატარა ცთომილები, იმათი ტრიალის ხაზი ანუ მელტავრო (ორბიტა), მოთავსებულია **არიას** (მარსის) და **მეშთარის** (იუპიტერის) ორბიტების შუა.

ბოლოს უნდა მოვიხსენოთ ესრედ წოდებული **აეროლიტები** ან ცვენილი ვარსკვლავები, როგორც უწოდებენ მათ; როდესაც ციური სხეულები ტრიალის დროს მოხვდება ჩვენი დედამიწის ატმოსფერაში, ანუ დედამიწის გარშემო ჰაერის გარსში, მაშინ, ჰაერთან ხეხვის დროს, გახურდება, აენთება და ხილული შეიქნება. საზოგადოთ ეს პატარა სხეულები (სიმძიმით რამდენიმე ასი ფუთიდან პატარა ზომამდისა) სრულიად უხილავია ჩვენგნით. ისინი, როგორც ყველა ცთომილები, თავისს საკუთარ სინათლეს მოკლებულნი არიან, იმათ ანათებს მზე, ამიტომ ცთომილი, თუ ძრიელ პატარა არ არის, და განათებული მხარე ჩვენკენ აქვს მოქცეული, მაშინ მას კიდეც ვხედავთ ცაზე. ასეთია, მაგალითად, მთვარე. რომელიც მოქცეულია ჩვენკენ მთელი განათებული მხარით (მთვარის ცხრობა), ან სჩანს მხოლოდ მისი ნაწილი (პირველი და უკანასკნელი მეოთხედი), ან სრულიად არა სჩანს. (მთვარის დავახშმება).



სურათი № 4. დღე და ღამე.

რომ დავამთავრო საუბარი ჩვენი მზის სისტემის ციურს სხეულებზე, უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა **კუდიან ვარსკვლავებზედაც**, რომელიც გაუნათლებელი ხალხის თვალში წარმოადგენს რაღაც ცუდის მომასწავებელ ვარსკვლავს. ჩვენშიაც ხშირად, როცა რამე უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურება შეემთხვევათ, იტყვიან,—კუდიანი ვარსკვლავის ბრალიაო. ნამდვილად-კი კუდიან ვარსკვლავს არც არაფერი ცუდი შეუძლიან და არც რამე ცუდის მომასწავებელია იგი. ეს ციურნი მოგზაურნი შესდგებიან ძრიელ თხელ ჰაერგვარისაგან, ანუ პატარ პატარა მტვერის ნამცეცებისაგან, მხოლოდ იმათი შუა გული ხანდისხან შედგენილია უფრო სქელი ნივთიერებისაგან. ზოგიერთი კუდიანი ვარსკვლავი დაყოფილია პატარ-პატარა აეროლიტებად, რომლებიც აგვისტოში და ნოემბერში გვეჩვენებიან ჰაერში ჩამოსაცვენ ვარსკვლავების სახით. იმვიათად ამ პატარა ციურ სხეულებს მიიზიდავს დედამიწა და ეცემა მიწაზედ, უფრო ხშირად-კი გაეკვრის დედამიწის ჰაერის გარსს, გახურდება, აენთება და შემდეგ განაგრძობს თავისს გზას ცივსა და უჰაერო სამყაროს სივრცეში.



სურათი № 5. კუდიანი ვარსკვლავი

კუდიანი ვარსკლავების უფრო მეტი ნაწილი არ ეკუთვნის ჩვენი მზის სისტემას, ისინი მოძრაობენ დიდსა და გრძელს მანძილზე, რომ მოხვდეს ჩვენი მზის სისტემის არე-მარეში საჭიროა ასი, ათასი და მეტი წლები.

ზოგიერთ კუდიან ვარსკლავს ასეთი გრძელი მანძილი არ აქვსთ ტრიალის დროს, ამიტომაც ვარსკვლავთ მრიცხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს შეუძლიათ წინდაწინ იწინასწარმეტყველონ მათი გაჩენა.

დავუბრუნდეთ ისევ ამბავს, თუ როგორ გაჩნდა მზის სისტემა პირველ-ყოფილ ნისლებიდან. ჩვენ შევჩერდით იმაზე, როცა დაწყებითს არეულობისაგან გამოცალკევდენ ცეცხლის ბურთები, სფერები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენდა პატარა ვარსკლავს, ე. ი. ციურ მნათობს და მხოლოდ ერთად ერთი მზე, რომლის გარშემო ტრიალებდნენ სხვა პატარა ვარსკვლავები, ჩაითვლებოდა ნამდვილ ვარსკვლავად, ვინაიდგან, თუმცა იგი ჩვენთან მახლობელ ვარსკვლავებზე პატარა იყო, მაგრამ მაინც თავისი სიდიდით ვარსკვლავად ჩაითვლებოდა (მზე ერთი მილიონ სამასი ათასჯერ უფრო დიდია დედამიწაზე). ამ ვეებერთელა სიდიდის გამო მზე ჯერ კიდევ არ გაგრილებულა, მაშინ როდესაც სხვა ცთომილები მეტნაკლებობით უკვე გამაგრდნენ, ასე რომ თავისი სინათლე სრულიად დაჰკარგეს და თუ ჩვენ ვხედავთ მათ ცის კამარაში განათებულს—ეს, ხდება იმის გამო, რომ თითონ მზე ჰფენს მათზე თავისს სხივებს და ანათებს.

თუ რამდენად ძლიერია მზის სიცხე, შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ იქიდან, რომ ჩვენი დედამიწა, რომელსაც საღერძე (დიამეტრი) აქვს 12 ათასი ვერსტი, გარეშემო ორმოც ათას ვერსზე ცოტა ნაკლები და ზედაპირი 500 მილიონამდის ოთხკუთხი ვერსი, დაეცეს მზეს იგი ერთს წამს გადნება და ორთქლად იქცევა, თითქმის მაშინაც-კი, რომ მიუახლოვდეს და სრულად არ მიეკაროს მზის ზედაპირს.

აი ასეთი სიცხე იყო თავდაპირველად დედამიწაზედაც, მაშინ, როცა იგი წარმოადგენდა ცეცხლის ბურთს, რომლიდგანაც ვარდებოდა სივრცეში უზარ-მაზარი ცეცხლის ალები და რომელზედაც თვით ძნელად გამოსაკვერი ლითონებიც-კი ორთქლად იყო ქცეული. მაშინ შეუძლებელი იყო ამ მჩქეფარე ცეცხლის ზღვაში შენიშვნა რომელიმე შემადგენელი ნაწილებისა, რადგანაც ის წარმოადგენდა ერთს მკვრივს ცეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლის მასსას, რომლიდანაც ასი ვერსის მანძილზე დაუცხრომლად ამოვარდებოდა გახურებული და მეტად ცხელი ჰაერგვარი, სადაც ყოველ წამს ხდებოდა ისეთი სასწაულებრივი აფეთქება, რომელსაც დღეს ვერც უძლიერესი ცეცხლის ფრქვევა მთებიდან და ვერც ასი და ათასი ზარბაზნების აფეთქება ვერ შეედრება.

სურათი № 6. ვეებერ თელა ცეცხლის ალი, რომელიც ორასი ათას ვერსის მანძილზე ავარდება მზის ზედა პირიდან. ამისთანა ალები ავარდებოდნენ ერთს დროს ცაში დედამიწის ზედა პირიდან.

მაგრამ დრო გიდიოდა. გადიოდა მილიონი წლები ცეცხლის საზარელს გრგვინვაში; დაუსრულებელი სივრცე, რომელიც გარს ერტყა დედამიწის ცეცხლის ბურთს, ვერ გაცხელდებოდა, რადგანაც იქ ჰაერი არ იყო,—იქ, ცის უფსკრულში ისეთი სიცივეა, რომელთან შედარებით ციმბირის მძვინვარე ყინვები არაფრად სჩანან. ცხადია, რომ დედამიწა დროს განმავლობაში, თანდათან უნდა გაგრილებულიყო. ზოგიერთი ლითონები და მადნეულები, რომელთა ორთქლად გადასაქცევად საჭიროა ძრიელ დიდი სიცხე, გასქელდენ და გამაგრდნენ; საზოგადო მასსიდან იწყო გამოყოფა ცალკე ნივთიერებამ, რომელთაც ელემენტებს ვუწოდებთ, მაგრამ გამოყოფის დროს მათ შერჩათ სხვა ნივთიერებასთან შეერთების თვისებაც და ამ ნაირად გაჩნდა ახალი ქიმიური ნივთიერებანი. მარტივ ნივთიერებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ ესრედ წოდებულს ელემენტებში, ყველაზე უფრო შესანიშნავი და ჩვენ თვისაც საინტერესო ხდება ნახშირმბადი, აზოტი, მჟავბადი, გოგირდი და წყალბადი; საინტერესოა, ისინი უფრო იმისთვის, რომ იმათგან შესდგება ყოველი ცხოველი არსება, რომლის წარმოშობის შესახებ შემდეგში გვექნება საუბარი.

ლ. ბოცვაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაღლები პოლიციის სამსახურში

(თარგმანი)

ელგიაში ძაღლები ასრულებენ სხვა დ სხვა მოვალეობას. ღარიბნი ხმარობენ მათ ცხენის ნაცვლად,—აბმენ პატარა, დადებულ სხვა-და-სხვა ხორაგით, ურმებში. მოსარეცხენი ძაღლებს აბმენ სარეცხით დატვირთულ პატარა ურმებში. ამ რიგად ძაღლი ასრულებს ორ მოვალეობას: ზიდავს და იმავე დროს სდარაჯობს ტვირთს, როდესაც მისი პატრონი იძულებული არის ხოლმე დასტოვოს ბარგი მის ანაბარად, ესე იგი უწევს თავის პატრონს ნამდვილ მეგობრობასაც და ამხანაგობასაც.

ხოლო ქალაქ გენტში (ბელგიაში) ამის გარდა ძაღლები ასრულებენ კიდევ სხვა განსხვავებულ მოვალეობას. იქაურ პოლიციის უფროსმა განიზრახა გამოეცადა იგინი პოლიციის სამსახურში და ამას საუცხოვო შედეგი მოჰყვა. რასაკვირველია, ამ გვარ სამსახურის შესრულებისათვის სხვანაირად წრთვნა სჭირდება ძაღლებს: ასწავლიან წყალში ჩავარდნილ ადამიანის სწრაფლ გამოყვანას, ქურდების დაჭერას, და ლობეებზედ ასვლას,—ერთი სიტყვით, სწრთვნიან ისე, რომ ყოველ გვარი გაჭირება, დაბრკოლება სძლიონ და გამარჯვებულნი გამოვიდნენ განსაცდელიდან. ოთხი თვე სრულიად საკმარისია ამ გვარად გონიერ ძაღლის გაწრთვნისათვის. ესე გაწვრთნილი ძაღლები ქ. გენტში პოლიციას ჰყავს 21. უფრო მეტი წილი ამ ძაღლთაგანი მეცხვარულ ძაღლის ჯიშისაა. დღისით ისვენებენ და სძინავთ მშვენივრად მოწყობილ ქოხში, პოლიცვის მახლობლად, ბაღში. მხოლოდ ათ საათზედ შუადღის შემდეგ შეუდგებიან ხოლმე თავის სამსახურს. ღირსია შენიშვნისა, რანაირად იციან თავის სამსახურის დრო: ჩამოჰკრავს რა საათი ათს, ეს ძაღლები გამოვარდებიან თავის სადგურებიდან და მორთავენ ერთ საშინელ ყეფას. ამ გვარად იგინი აცხადებენ, რომ მოუთმენლად მოელიან სამსახურის დაწყობას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთავდებათ დილის ექვს საათზედ. ყოველ მათგანს გაკეთებული აქვს ლურსმნით მოჭედილი საყელო, რომელზედაც მისი სახელი და დაბადების წელიწადი არის აღნიშნული. მთელს ღამეს იგი არ შორდება და ფეხ და ფეხ მისდევს პოლიციელს, ვიდრე ის უვლის თავის უბანს. წვიმიან ღამეში ძაღლი დაჩუულული ჰყავთ. ძაღლს ძლიერ კარგადა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა: სჩხრეკს ყოველ კუთხეს უბნისას და ვერც ერთი ვერაგი და მაწანწალა ვერ დაემალება. უკეთუ დაატყო, რომ განსაცდელი რამ მოელის პოლიციელს, სწრაფლ აფრთხილებს მას, და თუ ვინიცობაა პოლიციელს ისე გაუჭირდა საქმე, რომ მიშველება სჭირს, ფიცხლავ მირბის სხვა პოლიციელთან და ატყობინებს, რომ მიშველება საჭიროა მათ ამხანაგისთვის. ამნაირ გამოცდის შედეგი ის იყო, რომ სხვა ქალაქებმაც მიჰბაძეს გენტს და გაიჩინეს პოლიციელი—ძაღლები. მაგალით., პარიზში პოლიცია ინახავს ერთ გვარ ჯიშის წყალშიმძრომ ძაღლებს, რომელთაც საკვირველი ცურვა და ყურყურმელაობა იციან, რაკი ამ ჯიშის ძაღლი თვალს მოჰკრავს, რო ვინმე იხრჩობაო მდინარეში, სწრაფლ შეცურდება, წაავლებს საყელოში კბილებს და ნაპირს გამოიყვანს ცოცხალ-მკვდარ ადამიანს. ესრედ მრავალი გადაურჩენიათ ამ გვარ ძაღლებს სიკვდილისგან...

ამ უკანასკნელ ომიანობის დროს ზოგიერთ სამხედრო ნაწილებში ძაღლები ბნელ ღამეებში დარაჯის მოვალეობასაც-კი ასრულებდნენ და არა ერთხელ გადაარჩინეს ჯარის კაცნი უცბად მტრის თავსდასხმიდან.

ტარიკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანა-ლექსი

ვერვინ მხედავს, ვერც ხელს მახლებს,
მსუბუქი ვარ, მალი, წმინდა;
თავისუფლად და უშიშრად
ვფრინავ ყველგან, საცა მინდა!

—

როცა ოდნავ ქშენას ვიწყებ,
ტყე ხმაურობს, ჭალა გმინავს;
უჩემოდ-კი მთელ ბუნებას
უმოძრაოდ თითქო სძინავს.

—

საქმეს მუდამ ბევრს ვაკეთებ:
მეზღვაურებს ვშველი ძმურად;
ხან მიმყავს სიამოვნებით
ხან ვაშინებ უცნაურად...

—

ცაში ცხვრები მიმომიდის,
არ ვყოფილვარ თუმცა მწყემსად;
დიდრონ ხეებს ვანადგურებ,
ვერაფრით მძლევს ვერვინ ვერსად.

—

ადამიანს ხორბალს ვუფქვავ,
როცა მინდა, სულ ადვილად;
ყოველ საქმის კეთების დროს
ვმღერი მწარედ და ხან ტკბილად!

თეო კანდელაკი.

ა მ ო ც ა ნ ა

მამამ საახალწლოდ თავის შვილებს ნუღლი უყიდა. უმ[illegible]ოსმა აიღო ორი ნუღლი და დანარჩენის ერთი მეხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედი, მეორემ ოთხი და დანარჩენის ერთი მეხუთედი, მესამემ ექვსი და დანარჩენის ერთი მეხუთედი. ამგვარად ყოველი შემდეგი ძმა იღებდა ორით მეტს ერთ მეხუთედს. რაც დარჩა, უმფროსმა აიღო და აღმოჩნდა, რომ ყველას ტოლ-ტოლად ჰრგებოდა.

რამდენი ნულლი იყო, რამდენი შვილი ჰყავდა მამას და რამდენ-რამდენი შეხვდა თითოს.

ვ. ოდიშელიძე

ხალხური ლექსი

(ჩაწერილი დ. ნახუცრიშვილისაგან)

ბატონი შებრძანდა ცხენზედ,
გადირბინა ანანური..
ბატონო, სად მიბრძანდები,
ქალაქია სანანური,
დუქნებს ცეცხლი უკიდია,
ფარჩა არის დამუძლული;
ქალები ბევრი წაასხეს
და ბებრები დადაღული.

რ ე ბ უ ს ი

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. ოუმანიშ[illegible]ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი 1907 წ. ნაკადულისა

ლექსები

1. საახალწლო მილოცვა შ. მღვიმელისა . . . I
2. პატარა ტოროლას ჩივილი შ. მღვიმელისა . . VI
3. ნუგეში ვაჟა ფშაველასი II
4. ძაღლი „ „ X
5. გამარჯვებული ნ—ურისა III
6. აღდგომის განთიადი აკაკისა IV
7. ნადირობა „ „ XI
8. წყაროს ჩხრიალი სოლ. გ—ძისა . . . . —
9. ლექსი „ „ V
10. ზამთარი „ „ XII
11. გაზაფხული ალ. რუხაძისა V
12. ქრისტე აღსდგა ბ. ახოსპირელისა IV
13. მათხოვარი „ „ XII
14. გაზაფხულის დღე ნატ. გ—ი IV
15. ნაკადული დ. თომაშვილისა VI
16. სურათი „ „ VII
17. სპარსეთის ქართველობას „ IX
18. საბრალო ბაბუა ცახელისა „ VIII
19. მოკლეს ილია ა. შანშიაშვილისა IX
20. მგოსანს ილია ჭავჭავაძეს ი. ევდოშვილისა . —
21. ჩიტი იასამანისა X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობები.

1. მოვლენ, მოვლენ თ. რაზიკაშვილისა . . . I
2. პირველი საშოვარი (ფუტკრების ცხოვრებიდგან) IX
3. ახალ წელიწადს ნინო ნაკაშიძისა I
4. ადამისშვილი „ II
5. ბავშვმა ამხილა „ III
6. ორი შვილი „ IV
7. ორი სურათი (თემა ი. მჭედლიშვილისა) . . . IX
8. ახალი წელიწადი ქიზიყში ყიყლიყოსი. . . I
9. შიოს ჰაეროსტატი ნიკო წინამძღვრიშვილისა. II
10. გაზაფხული ი. ევდოშვილისა III
11. მზითვის ლანგარი (უიდასი) თარგმანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . —
12. სამი მოხელე (იგავი) ალ. მირიანაშვილისა . V
13. ყრმათა კავშირი ფრინველების დასაცავად (თარგმანი ზიარელისა) IV
14. მზითვის ლანგარი „ IV
15. მზითვის ლანგარი „ V
16. მზითვის ლანგარი „ VI
17. მზითვის ლანგარი „ VII
18. ღმობიერი მონადირე და ირმის გონიერება „ V
19. უსურვაზის დასჯა „ VII
20. ღარიბი ხალხი მ. დემურიასი IV
21. სამი ბუჯის მოგზაურობა (ფრანგულით) ვ.—ძისა III
22. საყვირი (თარგმანი) ელენე ბროძელისა . . V
23. ზაფხული სოფელში სვ. ყიფიანისა . . . VI
24. წამებულის აღდგომა ცქვიტისა . . . . . —
25. მიზნის განხორციელება „ VIII
26. ცოცხალი სურათი „ X
27. შობის სალამო „ XII

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ორ კაპეიკიანი ელოსი VIII
29. სამუშაოზე (სომხურით) მ. კინწურაშვილისა X
30. გომბიო (ვიკტორ ჰიუგოსი) თეო კანდელაკისა . . . . . —
31. რთველი მეჯვრისხეველისა XI
32. ფიქრობდა მომავალზე მარიამ გარიყულისა . . —
33. ორი ჩიტი (თარგმანი) იასამანისა XI
34. ჩემი მეგობრები (თარგმანი) ს. რომანიშვილისა. —
35. უბინაო (ზასოდიმსკისა) ანეტასი. . . . . —
36. ინდაურების თავგადასავალი სვ. ყ—ნისა . . XII
37. ყველგან სიყვარული (თარგმანი) ანტონოვსკისა. —
38. აბეზარი (დეამიჩისა თარგმანი) ნიკუშა მაჩაბლისა VIII
39. პირუტყვების სტუმარი (თარგმანი) ტასო მაჩაბლისა . . . . . —
40. პატარა მენახირე (მოთხრობა) ელეონსკისა შიო დავ—ლისა IX
41. გულადი ქალი თარგმანი ი. ანთაძესი . . . . —
42. ექიმი ბენზენგერი (ლუხმანოვადან) განდეგილისა X
43. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას კიტა აბაშიძისა . . XI

ისტორია

საქართველო ლუარსაბ მეორის დროს დ. კარიჭაშვილისა I
საქართველოს ისტორია დ. კარიჭაშვილისა . . . II
როსტომ მეფე „ „ IV
როსტომ მეფე „ „ V
ამიერ საქართველო და სამცხე დ. კარიჭაშვილი VII
საქართველოს ისტორია „ „ IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო ქვეყანა ალ. ყიფშიძისა	II
სამშობლო ქვეყანა „ „	III
სამშობლო ქვეყანა „ „	IV
სამშობლო ქვეყანა „ „	VI
სამშობლო ქვეყანა „ „	VIII
სამშობლო ქვეყანა „ „	X
სამშობლო ქვეყანა „ „	XI
სამშობლო ქვეყანა „ „	XII
საფრანგეთის ისტორიიდგან	I
საფრანგეთის ისტორიიდგან	II
საფრანგეთის ისტორიიდგან	III
საფრანგეთის ისტორიიდგან	V
ბრძენი სოკრატი თეოფილე კანდელაკისა. . . .	VI

მითოლოგია

მითოლოგია ალ. მიქაბერიძისა.	I
მითოლოგია „ „	II
მითოლოგია „ „	III
მითოლოგია „ „	IV
მითოლოგია „ „	VI
მითოლოგია „ „	VII
მითოლოგია „ „	IX
მითოლოგია „ „	XI
მითოლოგია „ „	XII

ბიოგრაფია.

ივანე ახალშენიშვილი.	I
ნიკო ხიზანაშვილი ყიფშიძისა.	I

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე დ. კარიჭაშვილისა . . . . . —
ყოლა მრეზ ხუციშვილი ლ. ბოცვაძე XI

სამეცნიერო.

სამეცნიერო საუბარი ივ. გომართლისა. X
ადამიანის და ცხოველების ენა ი. მოსეშვილისა . IV
ადამიანის და ცხოველების ენა „ „ V
სინათლე და მისი მნიშვნელობა ი. მოსეშვილისა IX
სინათლე და მისი მნიშვნელობა „ „ X
ქიმია და ფიზიკა ნ. ლ—ურისა I
ქიმია და ფიზიკა „ „ II
ქიმია და ფიზიკა „ „ III
ფიზიკა და ქიმია ზაალიშვილის რედაქციით თარგმანი ნ. ლომაურისა VII
ფიზიკა და ქიმია ზაალიშვილის რედაქციით თარგმანი ნ. ლომაურისაა VII
ჰაერის დამორჩილება ი. ს—ძისა III
ჰაერის დამორჩილება „ „ IV
ჰაერის დამორჩილება „ „ V
ჰაერი ლ. ბოცვამისა XII
ქვა ნახშირი (ვაგნერიდგან ინ—ანისა. IV
საუბარი ფიზიკიდგან ელენე ჭიჭინაძისა . . . XII

ზღაპრები

1. ნოშრევან ყეინი ან—მანისა IV

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბუერა თარგმანი თ. ფალავანდიშვილისა . . . V
3. მადლიერი წაღები თარგმანი ყუმისთაველისა. VII
4. მართალი კაცი ხალხური ზღაპარი გიორგისა X

მსწავლული და უსწავლელი (ნაამბობი სპარ. ქართ. ყოლა-მრეზ ხუციშვილისაგან . . . . —
კაცი და ეშმაკი მისივე . . . . . —

პიესა.

ობოლი გ. ახალციხელისა VII
ობოლი „ „ VIII

სტრასბურგის საათი, (ლეგენდა) ნიკ. წინამძღვრიშვილისა. XII

გასართობი, ამოცანები, გამოცანები, შარადები და რებუსები

შობის ხის ოქროები I
უცნაური ჭიები. . . . . —
ცხენი საძოვარზედ. . . . . —
გამოცანა . . . . . —
ანდაზა . . . . . —
რებუსი . . . . . —
ადგა ბიჭი (გასართობი) II
გამოცანა . . . . . —
რებუსი . . . . . —
სიტყვებით თამაშობა (გასართობი) III

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანა	—
რებუსი	—
საღდგომო გასართობი	IV
გამოცანა ლექსი	—
შარადა	—
გამოცანები	—
რებუსი	—
ანდაზა და გამოცანები	V
შარადა	—
გამოცანები	—
ანდაზები	—
რებუსი	—
ძველი ქართული გართობა	VI
შარადა	—
სიტყვის ამოცანა	—
გამოცანები	—
რებუსი	—
ამოცანები	VII
რებუსი	—
გამოცანები	VIII
ანდაზები	—
რებუსი	—
შემოწირულება	—
ანდაზები და გამოცანები	IX
შარადა	—
გამოცანები	—
ანდაზები	—
რებუსი	—
ამოხერხვა	X
თათრული ანდაზა	—
გამოცანა	—
რებუსი	—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუმრობით დასჯილი XI
სუფრული . . . . . —
შარადა . . . . . —
სვეტი ცხოველზე ნათქვამი . . . . . —
ანდაზა . . . . . —
გამოცანა . . . . . —
რებუსი . . . . . —
ბენგალური ცეცხლი XII
ხალხური ლექსები . . . . . —
ანდაზები . . . . . —
გამოცანები . . . . . —
რებუსი . . . . . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია საგანგებო წიგნებისა

სხივი წარსულისა

(ისტორიულ ამბავი ი. გოგებაშვილისა)

ქართველი ჯარი მონგონელმა ალმუთში წაიყვანეს. იქ ლალატი შესწამეს,—თავიანთ მხედართმთავრის მოკვლა,—და ამოწყვეტას უპირებენ. ქართველებიც შეიარაღებულნი ელიან, მაგრამ გაისმის გრ. სურამელის, ხმა: სიკვდილი ტკბილია, რადგან დიდებას შეგვძენს, მაგრამ ჩვენ ხომ დავიხოცნეთ, უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას რაღა მოელისო?... კარგი მამულიშვილი, საცა არ უჯობს, ხელს არ გამოიღებს, გულში ჩაიკლავს შეურაცყოფას და მტერს თავის დროზედ გადაახდევინებს... დეე, ჩვენ, სარდლები, დაგვხოცონ, ოღონდ ჯარი გადარჩეს და სამშობლოს მიეპატრონოსო.

მოთხრობას „ისტორიული“ ჰქვიან და ალბად ამიტომ მოგვითხრობს ავტორი ქართველთა ლოცვას და სასწაულსმკვლელის გამოჩენას; უკეთესი იქნებოდა ქართველებს თითონვე ეზრუნათ მკვლელის ძებნა და იქვე ტყიდგან გამოეყვანათ. მიუხედავად ამისა მოთხრობა მეტად საინტერესოა იმ აზრით, რომელსაც გრ. სურაბელი ქადაგებს: თუ ვაჟკაცი ხარ, ნუ შეაკვდები შენზედ უძლიერეს მტერს, არამედ ისე მოაგვარე საქმე, რომ გამარჯვებული შენ დარჩეო.

შემოწირულება

ჩვენი ჟურნალის განჯელ პატარა მკითხველებს 7 მან. 20 კაპ. მოეგროვებინათ ღარიბ ბავშვთა დასახმარებლად.

ფული რედაქციას მოუვიდა და მაშინვე დანიშნულებისამებრ გადასცა. საქველმოქმედო საზოგადოებას.

სია ფულის შემომწირველთა:

გიორგი და ნინო ლორთქიფანიძე 2 მან. შალვა და მიხაკო ოდიშარია 50 კაპ. ანიკო ხარაძე 1 მან. ნატაშა ამბოქაძე 50 კაპ. ნიკო და ვახტანგ ამბოქაძე 50 კაპ. თამარ, გიორგი, ქსენია, ნიკოლოზ, დავით და ნინო 1 მან. 50 კაპ. ზაქარია ჩიტაძე 20 კაპ. პეტრო და თამარ სარაჯიშვილები 1 მან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ‹ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**
გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**